

კვარტალური ანგარიში
2009 წელი

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი



კვარტალური ანგარიში
იანვარი-თებერვალი-მარტი

2009 წელი

სარჩევი

მოამბე-----	3
მოამბის რეგიონები-----	6
ნაციონალური პროექტი -----	7
დილის გადაცემა „ალიონი“-----	9
რადიო-----	11
პოლიტიკური კვირა-----	14
აქცენტები-----	17
თოქ-შოუ „პირველი თემა“-----	20
შემეცნებითი მიმართულება-----	21
თოქ-შოუ „მოკლე ჩართვა“-----	21
„ჩვენებურები“-----	23
„მოწყვეტე წამი“-----	24
„დიალოგი როლში“-----	25
„ხარისხის ნიშანი“-----	26
„ცხოვრება მშვენიერია“-----	28
„ჩაალაგე ჩემოდანი“-----	38
„ერისთავის სათვალე“-----	42
„სამოთხის ვაშლები“-----	46
კინომიმართულება-----	54
საბავშვო მიმართულება „სიზმარვიზია“-----	55
„ბასტი ბუბუ“-----	64
ბაბილინას საკვირაო სკოლა-----	68
მუსიკალური მიმართულება -----	72
სპორტული მიმართულება-----	74
არქივის სამსახური-----	76
მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახური-----	78
სარეკლამო სამსახური-----	80
ვებ-გვერდი-----	81
მონიტორინგის სამსახური-----	83
ადმინისტრაციული სამსახური-----	85

მოამბე

2009 წლის იანვრის თვე, პოლიტიკური ნიუსის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იყო. გამოიკვეთა საგარეო პრიორიტეტული მიმართულებები, ქვეყნის შიდა პრობლემატიკა, საზოგადოებისთვის აქტუალური თემატიკა.

თვის დასაწყისში განვითარდა საქართველოს სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, ხელი მოეწერა საქართველო-ამერიკას შორის ურთიერთანამშრომლობის ქარტიას. საგარეო საქმეთა მინისტრს გრ. ვაშაძეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს პროგრამა „მოამბის“ გადამღები ჯგუფი თან ახლდა. ქარტიაზე ხელმოწერის ცერემონია საინფორმაციო სამსახურმა პირდაპირ ეთერში შესთავაზა მაყურებელს. ქარტით განსაზღვრული სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული მიმართულებების შესახებ მომდევნე გამოშვებებში კი, ტელე-აუდიტორიას უფრო დეტალურად მივაწოდეთ ინფორმაცია, განვმატეთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ქარტიის პოლიტიკური ღირებულება.

იანვრის თვეში, საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური მისიიებს შორის შუამავლობა, შვეიცარიის კონფედერაციამ იტვირთა, თბილისსა და მოსკოვში ფუნქციონირება დაიწყო შვეიცარიის წარმომადგენლობებმა. „მოამბემ“ ამ მიმართულებით რამდენიმე სიუჟეტი შესთავაზა მაყურებელს.

სისტემატურად შექდებოდა კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ვითარება, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის და ასევე სოციალური პრობლემები.

ამერიკის მომავალი ადმინისტრაციის პირველი მესიჯები საგარეო პოლიტიკის შესახებ სწორედ იანვრის თვეშივე გამოიკვეთა. ამერიკის ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას ინაუგურაცია, პროგრამა „მოამბე“ პირდაპირ ეთერში შესთავაზა მაყურებელს, სისტემატურად გადიოდა რეპორტაჟები, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინებული კორესპონდენტი გვაწვდიდა. სისტემატურად მიმდინარე დღეებში პირდაპირ ეთერში მუშაობდა ჩვენი სპეც. ჯგუფი და გამზადდებით მასალებს ინაუგურაციის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ. პროგრამა „მოამბემ“ სრულყოფილად, ვრცლად და ამომწურავად გააშუქა ახალი პრეზიდენტის და ადმინისტრაციის გადასვლა თეთრს სახლში.

პროგრამა „მოამბე“ საეთერო დროს ინტენსიურად უთმობს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს. ეუთოს მანდატის შეწყვეტის საკითხზე ვენაში გამართული სხდომის გადაღება შევუკვეთეთ „როიტერის“ კორესპონდენტებს და სრულად გავაშუქეთ ეს მოვლენა.

სისტემატურად ვამზადებთ სიუჟეტებს მსოფლიო ფინანსურ კრიზისზე, ინტერნეტ საიტებზე გავრცელებულ ინფორმაციას მთელი თვის განმავლობაში ვაწვდიდით მაყურებელს.

პროგრამა „მოამბის“ შემოქმედებითმა ჯგუფმა დიდი დრო დაუთმო საქართველოს პრეზიდენტის უპრეცედენტო 7 საათიან ბრიფინგს. ჩვენი გადამღები ჯგუფები მუშაობდნენ სხვადასხვა სტუდიაში. საზოგადოების ყველა ფენის: შემოქმედებითი ინტელიგენციის, სატელევიზიო და ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლების კითხვები პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. პროექტი „პრეზიდენტი პასუხობს ხალხს“ მოამზადა და ტელე-აუდიტორიას შესთავაზა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა I არხით.

„რუსული დიპლომატიის“ მარცხი ასე შეაფასა რუსულმა მედიამ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსულ-ქართული დებატები. ევროსაბჭოს სხდომებზე მიმდინარე მოვლენები პროგრამა „მოამბემ“ სრულად და ამომწურავად გააშუქა. საფრანგეთში მივლინებული იყო ჩვენი გადამღები ჯგუფი და ყოველდღე ნიუსში ახორციელებდა პირდაპირ ჩართვებს სტრასბურგიდან და გვაწვდიდა რეპორტაჟებს ევროსაბჭოდან.

რუსეთ-საქართველოს შორის დაპირისპირება ეს იყო პროგრამა „მოამბის“ ყოველდღიური გამოშვებების მთავარი თემა. რამდენიმე რეპორტაჟი დაეთმო

რუსეთის ხელისუფლების განცხადებას, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების განთავსების და ოჩამჩირეში სამხედრო ბაზის დისლოკაციის შესახებ.

ასევე მინდა შევეხო, სახელმწიფო დასაქმების პროგრამას, რომელიც მთელი თვის განმავლობაში ხორციელდებოდა და განხორციელდება მომავალშიც.

ოპოზიციის მემორანდუმის ხელმოწერის მიზეზები და მიზნები აისახა პროგრამა „მოამბის“ ვრცელ რეპორტაჟში. ასევე რამდენიმე თემატური სიუჟეტი მიუუძღვნით საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ საპარლამენტო ოპოზიციის მიერ ინიციატივას.

ჩვენი ჯგუფები სისტემატურად მორიგეობდნენ საქართველოს პატრიარქის შეუძლოდ გახდომის დროს თოდუას სახ. კლინიკაში. საქართველოს საზოგადოებას და მრევლს ვაწვდიდით ინფორმაციას უწმინდესის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ინვრის თვეში „მოამბე“ სისტემატურად უთმობდა საეთერო დროს სოციალურ თემატიკას და საპენსიო რეფორმას.

საქართველოს ხელისუფლებაში განხორციელებული სამთავრობო ცვლილებები პრემიერის გრ. მგალობლიშვილის პოსტზე ნიკოლოზ გილაურის ჩანაცვლებას, პროგრამა „მოამბემ“ სრულყოფილი რეპორტაჟები დაუთმო.

და მთავარი – I არხის ყველაზე წარმატებული პროექტი „დიდი ათეული“ და ამ პროექტის სიაში საქართველოს წმინდანების შეტანის თემა, საზოგადოების, საპატრიარქოს და და მედიის მსჯელობის საგანი გახდა. პროგრამა „მოამბემ“ ეს თემატიკა განსხვავებულ ჭრილში განიხილა და რეპორტაჟების მთელი ციკლი დაუთმო ამ თემას.

პარლამენტმა განახლებული მთავრობა დაამტკიცა – 6 თებერვალს დეპუტატებმა ნდობა გამოუცხადეს ახალ მთავრობას – საქართველოს პრემიერი ნიკა გილაური გახდა, შეიმქნა ორი ახალი სამინისტრო. პროგრამა „მოამბის“ გადამღებმა ჯგუფმა ინტენსიურად იმუშავა, განახლებული მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტების და მთავრობის მომავალი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების თემაზე.

ნატო საქართველოს კომისიის სხდომა საქართველოს ოკუპირებ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ბაზების განთავსების საკითხს დაეთმო, საქართველოს დელეგაცია, რუსი ოკუპანტების ქმედება ნატოს შტაბ-ბინაში სხდომაზე გააპროტესტა აღნიშნული მოვლენა, ბრიუსელში მყოფმა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტებმა აქტიურად გააშუქა. მიუნხენის უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციას საქართველოს პრეზიდენტი და ქართული დელეგაცია დაესწრო, ორმხრივი შეხვედრებზე საუბარი. დაეთმო საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს დაეთმო. თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა მინისტრიეს კონცეპცია, თავდაცვის სისტემის განვითარების ხედვა, პროგრამა „მოამბემ“ ამ თემას სპეც. რეპორტაჟი მიუძღვნა.

საქართველოს დესუვერენიზაციის რუსული გეგმა რუსულ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნდა. როგრამა „მოამბემ“ სპეც. რეპორტაჟი მიუძღვნა თემას.

საქართველოს კონფლიქტური რეგიონები, „მოამბის“ საინფორმაციო ბადესი აქტუალურია. ჩვენი კორესპონდენტების რეპორტაჟები, კონფ. რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრებიდან ასახავდა რუსი ოკუპანტების და სეპარატისტების ტყვეობიდან გამოქცეული ადამიანის ისტორიებს.

თებერვლის შუა რიცხვებში პრეზიდენტი პარლამენტში წლიური ანგარიშით გამოვიდა. ქვეყნის საგარეო პრიორიტეტები, კონფლიქტური რეგიონები, ეკონომიკური მდგომარეობა, იყო პრეზიდენტის გამოსვლის მთავარი თემა, რომელიც პროგრამა „მოამბემ“ ვრცლად გააშუქა.

გაროს უშიშროების საბჭოს, აფხაზეთში, გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიას მანდატე გაუგრძელდა. ეუთომ, კი რუსეთის მხრიდან ვეტოს გამოყენების უფლებით, ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონში ეუთოს მისიას მანდატი შეუწვიტა. როგრამა „მოამბემ“ ვრცლად მომოიხილა საერთაშორისო მისიების ფუნქციონირების საკითხები.

ნატოს არაოფიციალური სამიტი კრაკოვში – საქართველო ნატოს კომისიის სხდომით გაგრძელდა. პოლონეთში, თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას, თანახდლა ჩვენი გადამღები ჯგუფი, როლელმაც ვრცელი რეპორტაჟები მოამზადა სამიტის მიმდინარეობზე.

ოკუპაციის თარიღთან დაკავშირებით, მოამბემ ყველა ნიუსური ღონისძიება ვრცლად გააშუქა. მოამზადა სპეციალური რეპორტჟი არქივის მასალების გამოყენებით

მარტის თვის დასაწყისში ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტად შესაძლოა ჩაითვალოს ბრიუსელი –ნატოს მინისტერიალი. კლინტონი მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწვევრიანებას. პროგრამა „მოამბემ“ ეს ფაქტი დეტალურად გააშუქა.

დაახლოებით 10 მარტისთვის რუსული ვიზების გაცემა დაიწყო. საჰაერო მიმოსვლა ნაწილობრივ განახლდა. სომხური ავიაკომპანია „არმავია“ 14 მარტს მოსკოვში ფრენას იწყებს. ეს ფაქტის სრულყოფილად გააშუქა პროგრამა „მოამბის“ კორესპონდენტებმა.

11 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა – რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს ბინები გადასცა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვენაში ლევან პირველი კონფერენციას მართვას და ქართულ ოპოზიციას ეპატიუება. ოფიციალური თბილისის ვერსიით კონფერენცია რუსული ფულით ფინანსდება და ეს ყველაფერი მთლიანად რუსული ინტერესია. თუ ვინ ჩავიდა და ვინ გადაიფიქრა ვენის კონფერენციაზე დასწრება „მოამბის“ ჟურნალისტებმა დეტალურად გაარკვიეს და მაქსიმალურად მიაწოდეს ინფორმაცია აუდიტორიას.

შსს ბრიფინგი და შოთა უტიაშვილის მიერ გახმოვანებული განცახდება, იყო თვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი, სადაც შსს-მ გამოაქვეყნა ოპერატილი მასალა ნ. ბურჯანაძის პარტიის წევრების დაკავებაზე. ასევე გამოქვეყნდა ოპერატიული მასალა – გველუკაშვილი- ჩხენკელი იარაღის შექმნას და გენერალთა კლუბის დახმარებით სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ. გენერალთა კლუბის დამფუძნებლები გველუკაშვილთან კავშირს უარყოფენ.

27 მარტს - ინტერნეტ გამოცემა გრომი ბადრი ბიწაძის მაკომპრომეტირებულ მასალებს აქვეყნებს, ბ. ბიწაძე რუსი ოლიგარქის შალვა ბრეუსს შეხვდა, პრეუსი კი პუტინთან რუსეთის ხელისუფლებაში დაახლოებული ოლიგარქია. ინტერნეტგამოცემის ინფორმაციით, საუბარი ქართულ ოპოზიციისთან კავშირებს და დაგეგმილი 9 აპრილის აქციას, ხელისუფლების შეცვლას შეეხო.

თვის ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, პროგრამა „მოამბის“ ჟურნალისტზე ზეწოლა – გიგა მაქარაშვილის გადაბირებას, ოპოზიციის ცალკეული ჯგუფები შეეცედნენ და ამასთან დაკავშირებით, რომ ძალზედ გახშირდა ჟურნალისტებზე – სიტყვიერი და ფიზიკური შეურაწყოფის ფაქტები – საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ ბრიფინგი გამართა და განცახდება გააკეთა, ამ ფაქტზე სამართალდამცავები გამოძიებას აწარმოებენ.

გარდა ამ რეპორტაჟებისა მოამბეში სისტემატურად გადის სოციალური თემატიკის სიუჟეტები, ასევე დიდი ყურადღება ექცევა წერილებს, რომელსაც საინფორმაციო სამსახური მოქალაქეებისგან იღებს. ასეთი წერილების თემატიკა ძირითადად სოციალური პრობლემებია. მოამბე ყოველთვის ინტერესდება უბრალო

აქვე მოცემულია აქტიურობის მაჩვენებელი და მისი დინამიკა 2009 წლის პირველ კვარტალში.

აქტიურობის მაჩვენებელი 2009 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 10,5%, რაც 0,5%-ით მეტია 2008 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. აქტიურობის მაჩვენებელი 2009 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 10,5%, რაც 0,5%-ით მეტია 2008 წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

აქტიურობის მაჩვენებელი 2009 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 10,5%, რაც 0,5%-ით მეტია 2008 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. აქტიურობის მაჩვენებელი 2009 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 10,5%, რაც 0,5%-ით მეტია 2008 წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

ნაციონალური პროექტი

პირველი რადიოს ეთერში ყოველდღიურად მზადდებოდა საინფორმაციო გამოშვებები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ქურთულ და რუსულ ენებზე (ქრნ. 5 წ.)

ყოველკვირეულ გადაცემების (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) პირველ ბლოკში (8წთ) მთლიანად აისახებოდა მიმდინარე კვირის მთავარი მოვლენები.

მეორე ბლოკში (15წ) გაშუქებული იყო შემდეგი თემები:

აფხაზური

მომზადდა სიუჟეტები იმ არასამთავრობოების საქმიანობის შესახებ, რომლებიც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებზე მუშაობენ.

მომზადდა სიუჟეტების სერია,- ქართველებისა და აფხაზების ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. (გადაიცა რუსულ გამოშვებაშიც)

მომზადდა სიუჟეტები მოჭაჯირების შთამომავლებზე. (გადაიცა რუსულ გამოშვებაშიც).

გამოიცა უნიკალური სახელმძღვანელო ენგურს იქეთ დარჩენილ კულტურის ძეგლებზე მომზადდა სიუჟეტი (მკვლევარების მოსაზრებები)

ქართველები აფხაზურს აქტიურად სწავლობენ. (გადაიცა რუსულ გამოშვებაშიც)

ოსური

მომზადდა სიუჟეტები იმ არასამთავრობოების საქმიანობის შესახებ, რომლებიც ქართულ-ოსურ კონფლიქტებზე მუშაობენ.

ბაკურიანელ ოსებს მიწების დაბრუნების პრობლემა ისევ აქვთ.(გადაიცა რუსულ გამოშვებაშიც)

მომზადდა სიუჟეტები თემაზე,- სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობის პრობლემები.

მომზადდა სიუჟეტი ვლადიკავკაზიდან დაბრუნებულ ოჯახებზე, (გადაიკა რუსულ გამოშვებაშიც).

ოსურ სკოლაში ძალიან ბევრი ქართველი მივიდა ოსურის შესასწავლად.
მომზადდა სიუჟეტები შერეულ ოჯახებზე ოჯახებზე,

სომხური

ახალი საწარმოები, რომელიც უკვე ამოქმედდა, სამცხე-ხავაზეთის მოსახლეობას შელავათს აძლევს. მომზადდა ამ თემაზე სიუჟეტები. (გადაიკა რუსულ გამოშვებაშიც)

რეგიონებში დაიწყო დავიწყებული ხელობის აღორძინება, მომზადდა სიუჟეტი წალკის რაიონის მაგალითზე, – თანამედროვე მჭედლები.

ახალციხის რაიონში, სოფ. წულრუთში, სომხურ ოჯახში, როგორც ოჯახის რელიქვია, ინახება უძველესი ბიბლია. მომზადდა ამ თემაზე სიუჟეტი (გადაიკა რუსულ გამოშვებაში)

მომზადდა სიუჟეტი საქართველო-სომხეთის საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული პრობლემებზე (გადაიკა რუსულ გამოშვებაში). გაგრძელდა რელიგიური დღესასწაულების ფართოდ გაშუქება.
გაგრძელდა ციკლი საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ სომეხ ადამიანებზე.

აზერბაიჯანული

2009 წლის ბიუჯეტიდან სოციალური სუბსიდიებისათვის დამატებით თანხა გამოიყო, რაც მოსახლეობის შემოსავალზე აისახება. მომზადდა რამდენიმე სიუჟეტი ამ თემაზე.
მეუღლეების მიერ უფლებაშელახულ ქალბატონებს ამიერიდან კანონი დაიცავს. მომზადდა სიუჟეტი ამ თემაზე.

არაქართველი ახალგაზრდები მოწადინებულები არიან, საფუძვლიანად შეისწავლონ ქართული ენა, რათა უმაღლესი განათლების მიღება შესძლონ საქართველოში. მომზადდა სიუჟეტი ბოლნისის რაიონის მაგალითზე.

თანამედროვე პერიოდში აქტუალური პროფესიის არჩევა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რომელიც ახალგაზრდებს საფიქრალს უჩენს. რაიონებში სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს ენის ბარიერი და სკოლებში არასათანადო კადრების არყოფნის პრობლემა აწუხებთ, დედაქალაქში კი სიტუაცია განსხვავდება. მომზადდა სიუჟეტები ამ თემაზე.

მომზადდა სიუჟეტები თბილისში არსებული აზერბაიჯანული საზოგადო მოღვაწეების სახლ-მუზეუმების მდგომარეობაზე. გაირკვა, რომ აღნიშნული მუზეუმების რესტავრაცია ქალაქი განაშენიანების პროექტის ფარგლებში განხორციელდება.

გაგრძელდა რელიგიური დღესასწაულების ფართოდ გაშუქება.

გაგრძელდა ციკლი საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ აზერბაიჯანულ ადამიანებზე.

რუსული გამოშვება

2009 წლის ბიუჯეტიდან სოციალური სუბსიდიებისათვის დამატებით თანხა გამოიყო, რაც მოსახლეობის შემოსავალზე აისახება. მომზადდა რამდენიმე სიუჟეტი ამ თემაზე.

არაქართველი ახალგაზრდები მოწადინებულები არიან, საფუძვლიანად შეისწავლონ ქართული ენა, რათა უმაღლესი განათლების მიღება შესძლონ საქართველოში. მომზადდა რამდენიმე სიუჟეტი ამ თემაზე.

მომზადდა სიუჟეტების სერია საქარველოში მოქმედ დიასპორებზე.

დილის გადაცემა „ალიონი“

ქრონომეტრაჟი- 2 სთ და 30წთ.

მაუწყებლობის ფორმატი- პირდაპირი ეთერი

„ალიონი“ განახლებული ფორმატით დეკემბრიდან გადის ეთერში. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა მთლიანად შეიცვალა, კვლავაც მუდმივად ხდება ახალი იდეების განხორციელება.

რუბრიკა „ვაკანსია“

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მოხდა, ისაა, რომ გადაცემას დაემატა ვაკანსიების ბლოკი. წამყვანი კოტე თოლორაია თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ მაყურებელს ინფორმაციას უკვე ერთი თვეა აცნობს. გადაცემაში ვაკანსიების ბლოკის ოთხი ჭრია. თითო ნაწილში ორ ახალ ვაკანსიას ვაცხადებთ.

თავისუფალ სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციას ვღებთ ვებგვერდზე :
„Alionis Vakansya@gpb.ge.

ამ რუბრიკის მეშვეობით უკვე დასაქმდა რამდენიმე ადამიანი. ორი მათგანის შესახებ გადაცემაში მომზადდა რეპორტაჟი.

skype- ინტერვიუ

დილის პროგრამაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა- ინტერვიუ ინტერნეტით, პირდაპირ ეთერში skype-ს მეშვეობით ვუკავშირდებით უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს.

გასართობი სეგმენტი

თებერვლიდან „ალიონში“ მომდერლები პირდაპირ ეთერში ასრულებენ სხვადასხვა კომპოზიციებს.

ამხნის განმავლობაშიც შევეცადეთ, რომ „ალიონში“ გაგვეშუქებინა ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. გადაცემაში ისეთ ექსკლუზიურ თემებს ნახავდით, რომლებიც შემდეგ არაერთხელ გამხდარა სხვა ტელევიზიებისა და საინფორმაციო საშუალებების ინტერესის საგანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს თემები ხშირად სოციალური ხასიათის ან საზოგადოების სხვადასხვა ფენისთვის საინტერესო იყო.

შემოგთავაზებთ რამდენიმე თემას, რომელიც გადაცემაში ინტერაქტივისა და სტუმრის დახმარებით გავშალეთ

1. იაფი დაზღვევის პროგრამა
2. ეკონომიკური კრიზისი-ექსპერტები
3. სტაჟირების ახალი პროგრამა გარემოს დაცვის სამინისტროში
4. გაცვლითი პროგრამები უცხოეთში
5. ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური
6. გზების რეაბილიტაცია და დასაქმება
7. ინტერნეტსაიტები დასაქმების შესახებ.

პირდაპირი ჩართვები

დილის პროგრამაში, როგორც წესი დიდი ადგილი დაეთმო პირდაპირ ჩართვებსაც, რომლებიც ვცდილობდით, რომ განსხვავებული და სხვადასხვა აქტივობებით დატვირთული ყოფილიყო.

ზოგადი დახასიათებისთვის გთავაზობთ რამდენიმე ჩართვის აღწერილობას:

1. Off-roud შეჯიბრი დიღომში
2. საბილიარდო კლუბი “რიო”- საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის გარდამავალი თასის გათამაშება.
3. შერატონ მეტეხი – სილამაზის საერთაშორისო გამოფენა
4. თოჯინების მუზეუმი – მეთოჯინეთა სტუდიის გახსნა.
5. Segway – ორთვლიანი ელექტრომობილების კლუბი თბილისში.
6. მოძრავი ცირკი “შაპიტო” – თებერვალში ზოოპარკს სტუმრობდა.
7. სპორტული ცენტრი “შეა შიდე”- აკვა-აერობიკის გაკვეთილი.
8. დიზაინერი ნინი ქეი – ნიუ-იორკის შოურუმისთვის მომზადებული ქუდების კოლექცია.
9. “ერისიონის” ახალი შოუ პროგრამა “საგანძური”- ჩართვა კონცერტის წინ.
10. ეთნომუსიკის თეატრი “მთიები” – წინასაკონცერტო მზადება.
11. ევროვიზია 2009 – შიდაშესარჩევ ტურში მონაწილე მომდერლები – ჯგუფი “ოვემბერ”, ბორის ბედია, გიორგი მაისურაძე, ტონი ომეილი და მისი მეგობრები.
12. ფოტოგრაფ ირმა შარიქაძის და “იმიჯმეიკერთა საერთაშორისო ასოციაციის” საერთო პროექტი – ფოტოგრაფის მასტერკლასები.
13. “ჩრდილების თეატრი” – გასტროლები ლიტვაში.
14. ვახტანგ ჭაბუკიანის 99 წლის იუბილე- ჩართვა საბალეტო ხელოვნების სასწავლებლიდან.
15. კლუბი “la Habana” – კუბური მუსიკის კონცერტი.

16. ირანული კულტურის დღეები საქართველოში – სამხატვრო აკადემიაში ტრადიციული ირანული მუსიკის კონცეტი.
17. “Iცი არის” სილამაზის აკადემიის გახსნა.
18. გარემოს დაცვის სამინისტროს აქცია “ღარგე ხე” – მახათას მთაზე მამათა მონასტრის გამწვანება
19. კინოთეატრი “ამირანი” – “გასეირნება ყარაბაღში 2” წინასაპრემიერო ჩართვა მსახიობებთან ერთად.
20. კინომსახიობთა თეატრი – აქცია “happening”-ები. პოეტ თეონა მაჭარაშვილის პოეტური კრებულის პრეზენტაცია.
21. დიზაინერ ბაკურ ბაკურაძის ჩვენება “შავი ვარდი” – ჩართვა დიზაინერის სალონიდან.
22. მთაწმინდის პარკის გახსნა – პარკის დათვალიერება მომავლის სახლის ბავშვებთან ერთად.
23. ამერიკის საელჩო – ენერგო ავტობუსის გამოფენა.

radio

საზოგადოებრივი რადიოს ორივე არხზე (საქართველოს რადიოს პირველი არხი 102,4 და რადიო 2, ქართული რადიო 100,9) ეთერში 80-ზე მეტი გადაცემა და რუბრიკა გადის. მათ შორის შვიდი საინფორმაციო გამოშვება ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, ქურთულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით საზოგადოებრივი რადიოს ორივე არხის ეთერში 2008 წელს შიდა წარმოების რამდენიმე ახალი გადაცემა გავიდა, ხოლო არსებული გადაცემების ნაწილის ფორმატი შეიცვალა.

კულტურულ-შემეცნებითი მიმართულება

აკაკი ბაქრაძე

აკაკი ბაქრაძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით მაუწყებლის „ოქროს ფონდის“ დახმარებით მომზადდა 5 გადაცემა, რომელშიც გაშუქდა აკაკი ბაქრაძის პუბლიცისტური ნაშრომები

რადიოსპექტაკლები

2008 წელს საქართველოს რადიოს პირველი არხის ეთერში გავიდა 11 ახალი რადიოსპექტაკლი: ზაირა არსენიშვილის „მოგონება შორისა“, გურამ ოდიშარიას „პრეზიდენტის კატა“. რადიოსერიალი 8 სერიად. მიხო მოსულიშვილის „ცეკვა მკვდრებით“, ორ ნაწილად. კობა ცხაკაიას „ნათხოვარი იმედები“.

მარო მაყაშვილის დღიურების მიხედვით „თოვდა და თბილისს ესურა თალხი“. ზურაბ კანდელაკის „კალეიდოსკოპი, ანუ გამოცდის წინ“. უილიამ ლიუსისის „ამპერსტის მშვენება“ 5 სერიად. სამოელ ბეკეტის „ნაკვერჩხლები“. თეონა დოლენჯაშვილის „სიხუმის სამი ნაპირი“. ერნესტ ჰემინგუეის “ ინსცენირებული ნოველები“ და ოტია პაჭკორიას „გობელენი“.

ამავე დროს, აღდგენილია 15 რადიოსპექტაკლი: 1969 წ. ჩაწერილი ჰენრიხ ბიოლის „ შემდეგი მატარებელი ერთ საათში გავა“. 1988 წელს ჩაწერილი გრიგოლ რობაქიძის

„ჩაკლული სული“. გურამ რჩეულიშვილის „მარინე“, ჩაწერილი 1990 წელს. ოტია იოსელიანის „გარსკვლავეთცვენა“ ჩაწერილი 1985 წელს. ბორის ლავრენიოვის „ორმოცდამეერთე“, ჩაწერილია 1970 წელს. ლევან გოთუას „უგზო ქარავანი“ 1966 წლის ჩანაწერი; რევაზ ინანიშვილის „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“. 1965წ. ჩაწერილი. იოჰან პეგელის „მე მომკლეს ომის პირველსავე ზაფხულში“ (ორ ნაწილად). 1985 წ. ესტონეთისა და საქართველოს რადიოს ერთობლივი დადგმა. 1977 წელს ჩაწერილი რევაზ ინანიშვილის „ჩემი წყალ-ჭაღის ხმები“. 1973წ ჩაწერილი რეზო ინანიშვილის „წისკვილი ქალაქის გარეუბანში“. 1986 წელს ჩაწერილი ნოდარ დუმბაძის „ჰელადოს“ და „ღმერთო, რისთვის“. 1977 წელს ჩაწერილი გრიგოლ აბაშიძის „ცოტნე ანუ ქართველების დაცემა და ამაღლება“ (8 სერია). 1964 წელს ჩაწერილი ოტია იოსელიანის „მეწისკვილის ქალიშვილი“ და „ცეცხლთან თამაში“. ანტონ ჩეხოვის „დათვი“, რომელიც ჩაწერილია 1957 წელს. 1956წელს ჩაწერილი ვიქტორ ჰიუგოს „ანჟელო“.

მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია

რონკაი

საინფორმაციო და შემეცნებითი ხასიათის გადაცემა ქურთულ ენაზე რადიო 2, ქართული რადიოს ეთერში. ქვეყნის შიგნით და გარეთ მიმდინარე მოვლენების გაშუქებასთან ერთად, გადაცემაში საუბარია ქურთი ხალხის ისტორიასა და ხელოვნებაზე. გადაცემაში ჩართულია ქურთული ხალხური მუსიკაც.

მუსიკალური მიმართულება ჩვენ ვაჯაზებთ 102,4-ზე

ერთსაათიანი მუსიკალური ვიქტორინა ყოველ შაბათს დილის პროგრამა „პიკის საათში“. წამყვანი ეთერში აძლევს სხვადასხვა მიმდინარეობის კომპოზიციას, ხოლო მსმენელმა უნდა გამოიცნოს, ვინ არის ავტორი, შემსრულებელი, ან რომელი ფილმიდანაა ესა თუ ის კომპოზიცია. ამოცნობის შემდეგ წამყვანი მსმენელს აცნობს შესრულებული კომპოზიციის მოკლე ისტორიას. საათის ბოლოს გამოვლინდება გამარჯვებული, რომელსაც საჩუქრად გადაეცემა კომპაქტ დისკი მის მიერ გამოცნობილ კომპოზიციებით.

საბავშვო მიმართულება იყო და არა იყო რა

გადაცემისთვის “იყო და არა იყო რა” ჩაიწერა სამი ახალი ზღაპარი: “რატომ აქვს კოდალას გრძელი ნისკარტი?” ; “სასარგებლოა თუ არა თოვლი?”. აგრეთვე, საბავშვო მწერლის ბონდო მაცაბერიძის ახალი ზღაპარი “ბექნა ბიჭის ზღაპარი”.

სხვადასხვა

მისტერ პიკი

რუბრიკა მამაკაცებისთვის „პიკის საათში“ (დილა). აქტუალური, საინტერესო და პრაქტიკული რჩევები მამაკაცებისთვის, რომელსაც სუსტი სქესის წარმომადგენლებიც სიამოვნებით უსმენენ. ოთხწუთიანი რუბრიკა ეთერშია ყოველ პარასკევს.

მეორე ნახევარი

საინტერესო ისტორიები და დეტალები მსოფლიო ლიდერების მეუღლეებზე. სასიყვარულო და ოჯახური ისტორიები, კურიოზები, რომელიც საინტერესო კუთხით წარმოაჩენს ამ პიროვნებებს. ოთხწუთიანი რუბრიკა ეთერშია ყოველ პარასკევს დილის „პიკის საათში“.

წითელი წიგნი

ახალი რუბრიკა „მწვანე პიკში“, რომელშიც მოთხრობილია წითელ წიგნში შესული უნიკალური მცენარეების შესახებ. ეთერშია დილის „პიკის საათში“ კვირაში ერთხელ ორწუთიანი ქრონომეტრაჟით.

დილა სტუმართან ერთად

კვირაში ერთხელ საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანს დილის „პიკის საათის“ წამყვანთან ერთად მიჰყავს ბოლო ერთსაათიანი პირდაპირი ეთერი.

ერთობლივი პროექტები

- ყოველდღიური თოქ-შოუს „ღია სტუდიის“ ოთხი გამოშვება დაეთმო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და აშშ განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მომზადებულ პროექტს „საკანონმდებლო სიახლეები და პრაქტიკა“. გაშუქდა ბოლო პერიოდში მიღებული კანონები, ცვლილებები საკანონმდებლო აქტებში და რეალურ ცხოვრებაში მათი დანერგვის პროცესი. პირდაპირ ეთერში გადაიკა ოთხი გამოშვება თემებზე: განქორწინება, შვილად აყვანა, საკუთრების ლეგალიზება, სახელმწიფო პენსია.
- ფონდის “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში” თანადგომით „ღია სტუდიის“ ფორმატით მომზადდა გადაცემათა ციკლი “ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები“. ეთერში გავიდა ოთხი გადაცემა თემებზე: ფსიქიკური ჯანმრთელობა და შეზღუდული შესაძლებლობები; ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო დღე და ქართული რეალობა; ბიოეთიკა და ადამიანის უფლებები; იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქიკური ჯანმრთელობა.
- გაეროს განვითარების პროგრამისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სპონსორობით მომზადდა ექვსგადაცემიანი ციკლი “არჩვენები და გენდერული თანასწორობა”, რომელშიც გაანალიზდა პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის მიღწევის, ქალთა წარმომადგენლობის ზრდის მნიშვნელობა და საშუალებები, ქალთა უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები.
- პოლონური ფარმაცევტული კომპანია “გეას” სპონსორობით მომზადდა ხუთი გადაცემა “ოჯახის ექიმი”. პირდაპირ ეთერში მსმენელებს შევთავაზეთ ყველაზე გავრცელებული დაავადებების მკურნალობისა და პრევენციის მეთოდები მაღალკვალიფიციური ექიმების მონაწილეობით.

ტრანსლაცია

- მარტში საზოგადოებრივი რადიოს პირველი არხის ეთერში ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან მოეწყო ვერდის ოპერას „ატილას“ პირდაპირი ტრანსლაცია.
- აპრილში რადიოს პირველი არხის ეთერში შედგა საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ტრანსლაცია. კონცერტში მონაწილეობდნენ უცხოეთში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლები.
- 24 ოქტომბერს რადიოს პირდაპირ ეთერში ეროვნული მუსიკალური ცენტრიდან ტრანსლაცია განხორციელდა – სიმფონიური მუსიკის სეზონის გახსნა. მონაწილეობდნენ სოლისტი ხატია ბუნიათაშვილი და ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი ნიკა მემანიშვილის დირიჟორობით.
- 20 დეკემბერს შედგა პიანისტ საშა კორსანტიას კონცერტის ტრანსლაცია კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან.
- 30 დეკემბერს შედგა ტრანსლაცია კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან. გადაიცა საახალწლო მუსიკალური შეხვედრები.

გადაცემა „პოლიტიკური კვირა“

ეთერშია კვირაში ერთხელ, კვირას, 20 საათზე. მისი ქრონომეტრაჟი განისაზღვრება 1 საათით. გადაცემა შედგება 2 ბლოკისგან. მასში, კვირის მთავარი პოლიტიკური მოვლენის აქტუალობიდან გამომდინარე, მოწვეული სტუმრების რაოდენობა განისაზღვრება ორიდან ოთხამდე. ყოველი სტუმრისთვის მზადდება მისი ბიოგრაფიის ამსახველი კადრების ნაკრები, რომელიც სტუმრის უკან დამონტაჟებულ 9 პლაზმაზე გადის, პარალელურად, ვიდეოკრანზე გადის კონკრეტული სტუმრის ფოტოკოლაჟი და ხდება პირდაპირი ჩართვები. გადაცემის მსვლელობისას კადრი იჭრება ორად და სტუმრის საუბარს ან წამყვანის მიერ დასმულ შეკითხვას თემატურად მიჰყვება შესაბამისი კადრები, რომელიც გადაცემის თემატიკიდან გამომდინარე, ასევე წინასწარ მზადდება. ხშირად, სტუმრის მიერ, სხვადასხვა დროს გამოთქმული საინტერესო, პოპულარული ან სკანდალური ფრაზები ცალკე კოლაჟად გადის.

11 იანვარი

გადაცემის სათაური: „პრემიერიდან პრემიერამდე“

I ბლოკი - ზურაბ ნოღაიდელი

II ბლოკი - გივი უგულავა

რეიტინგი: თბილისი: 9,6%, რეგიონი: 11,8%

18 იანვარი

გადაცემის სათაური: „პოლიტიკური თამაშები“

I ბლოკი - ლაშა ჟვანია

II ბლოკი - გია გაჩეჩილაძე (უცნობი)

რეიტინგი: თბილისი: 11,5%, რეგიონი: 9,5%

25 იანვარი

გადაცემის სათაური: „ხელისუფლებიდან ხელისუფლებაში!“

I ბლოკი - ირაკლი ალასანია

II ბლოკი - ნინო ბურჯანაძე

რეიტინგი: თბილისი: 34,5%, რეგიონი: 34,07%

1 თებერვალი

გადაცემის სათაური: „2009 თუ 2013 წელი?“

I ბლოკი - ნიკა გვარამია

II ბლოკი - ლევან გაჩეჩილაძე

რეიტინგი: თბილისი: 35,7%, რეგიონი: 26,7%

8 თებერვალი

გადაცემის სათაური: „ახალგორი და კოდორი“

I ბლოკი - გივი თარგამაძე

II ბლოკი - კახა ბენდუქიძე

რეიტინგი: თბილისი: 31,7%, რეგიონი: 28,9%

15 თებერვალი

გადაცემის სათაური: „ბოლო თუ რიგითი ანგარიში“

I ბლოკი - ჯონდი ბაღათურია

II ბლოკი - გუბაზ სანიკიძე, პეტრე ცისკარიშვილი

რეიტინგი: თბილისი: 34,9%, რეგიონი: 26,3%

22 თებერვალი

გადაცემის სათაური: „ოპოზიციის პოლიტიკური კვირა“

I ბლოკი - შალვა ნათელაშვილი

II ბლოკი - დათო გამყრელიძე, მერაბ სეფაშვილი

რეიტინგი: თბილისი: 36,15%, რეგიონი: 29,7%

1 მარტი

გადაცემის სათაური: „საგაზაფხულო ფრონტი“

I ბლოკი - ლევან ბერძენიშვილი, კახა კუკავა

II ბლოკი - გიორგი თარგამაძე

რეიტინგი: თბილისი: 30,6%, რეგიონი: 19,0%

8 მარტი

გადაცემის სათაური: „9 აპრილის მოლოდინში“

I ბლოკი – გოგა ხაჩიძე, ეკა ბესელია

II ბლოკი – ჩანაწერი: ედუარდ შვეარდნაძის ინტერვიუ ინგა გრიგოლიასთან

რეიტინგი: თბილისი: 35,9%, რეგიონი: 27,6%

15 მარტი

გადაცემის სათაური: „მშვიდობიანი პროტესტი თუ რევოლუცია“

I ბლოკი – გოგა ხაინდრავა

II ბლოკი – გია თორთლაძე

რეიტინგი: თბილისი: 30,2%, რეგიონი: 23,0%

22 მარტი

გადაცემის სათაური: „კამიკაძე ოპოზიცია“

I ბლოკი – პირდაპირი ჩართვით ვენიდან ლევან პირველი, ნუგზარ წიკლაური

II ბლოკი – ლევან გაჩეჩილაძე

რეიტინგი: თბილისი: 26,01%, რეგიონი: 30,1%

29 მარტი

გადაცემის სათაური: „გადატრიალების მცდელობა?“

I ბლოკი – სალომე ზურაბიშვილი

II ბლოკი – გია ყარყარაშვილი, გოკა გაბაშვილი

რეიტინგი: თბილისი: 26,5%, რეგიონი: 23,9%

5 აპრილი

გადაცემის სათაური: „4 დღე 9 აპრილამდე“

I ბლოკი – პირდაპირი ჩართვა ტელეკომპანია „მაესტროდან“, გია გაჩეჩილაძე(უცნობი) საკანში, გია ბარამიძე

II ბლოკი – გია ცაგარეიშვილი

12 აპრილი

გადაცემის სათაური: „პოლიტიკური ვნების კვირა“

I ბლოკი – ირაკლი ალასანია, ზვიად ძიძიგური

II ბლოკი – ნინო ბურჯანაძე, გივი წერეთელი

„აქცენტები“

წამყვანი ეკა კვესიტაძე

პროდიუსერები ნინო ჯაფიაშვილი და ნათია კობერიძე

14.01.09 2 ბლოგი

1. **„Freedom House“**-ის მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული ანგარიშის შესაფასებლად და საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე სასაუბროდ მოწვეული იყო პარლამენტის წევრი გიორგი (გოკა) გაბაშვილი
2. განახლებული საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოების გარკვეული ჯგუფების კრიტიკის საგანი გახდა. უურნალ „ცხელი შოკოლადის“ რედაქტორი შორენა შავერდაშვილი და ისტორიკოსი და გერმანისტი ლაშა ბაქრაძე აკრიტიკებდნენ პირველი არხის გადაცემების ახალ ბადეს. მათ შენიშვნებს პასუხობდა მაუწყებლის გენერალური დირექტორი ლევან ყუბანიეშვილი

21.01.09 1 ბლოგი

გასული „აქცენტები“ მთლიანად მიეძღვნა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „დიდი ათეულის“ ირგვლის განვითარებულ მოვლენებს. ვინ ახორციელებს ზეწოლას საზოგადოებრივ მაუწყებელზე და ვინ არღვევს კანონს და საბოლოოდ, როგორ სახლემწოფოში გვსურს ცხოვრება-სეკულარულსა თუ თეოკრატიულში, ამაზე სასაუბროდ მოწვეულნი იყვნენ:

გია ნოდია-პროფესორი

ლაშა ბუღაძე-მწერალი

რევაზ ჩხეიძე-კინორეჟისორი

მიხეილ ჭიაურელი-საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. რეჟისორი

რატი ამადლობელი-პოეტი
დაჩი გრძელიშვილი-„დიდი ათეულის“ ავტორი და წამყვანი

28.01.09 გადაცემა 2 ბლოკში.

- 1 ბლოკი-ეროსი კიწმარიშვილი, საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ხელისუფლებისადმი თავის პრეტენზიებზე საუბრობს.
2. ბლოკი-დავით ბაქრაძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ხელისუფლებისადმი ოპოზიციის პრეტენზიებზე

04.02.09 გადაცემა 2 ბლოკში.

1. სოზარ სუბარი, საქართველოს სახალხო დამცველი თავის მომავალ გეგმებსა და ხელისუფლების შენიშვნებზე
2. ექსპერტები-დავით აფრასიძე, პაატა ვეშაპიძე, ია ანთაძე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის „ხიდიანობაზე“, რადიკალიზაციაზე

11.02.09 დებატები 40 წთ-კახა ბენდუქიძე, ეკონომიკური რეფორმების ყოფილი მინისტრი და „მემარჯვენის“ ლიდერი დავით გამყრელიძე ბენდუქიძის ეკონომიკური რეფორმაზე

18.02.09 ეთერში არ ვიყავით ევროვიზიის საკონკურსო შერჩევის გამო

25.02.09 2 ბლოკი

1. გიგა ბოკერია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საქართველოს საგარეო საფრთხეზე
2. ექსპერტები ალექსანდრე რონდელი, თორნიკე შარაშენიძე, გიორგი მარგველაშვილი ასევე აფასებენ საგარეო საფრთხეებს

04.03.09 3 ბლოკი

1. ზურაბ ნოღაიძე, საქართველოს ყოფილი პ/მ, „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი თავის ოპოზიციურ გეგმებზე
2. გოკა გაბაშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი ოპოზიციის ულტიმატუმზე
3. დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ასევე ოპოზიციის ულტიმატუმზე

11.03.09 2 ბლოკი

1. დასაწყისში გიორგი ჭანტურია, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერი ევროვიზიის კონკურსში საქართველოს მონაწილეობის შესახებ უარის მიზეზებზე.
2. დავით სიხრულიძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრი და ყოფილი ელჩი აშშ-ში, აშშ-საქართველოს მომავალ ურთიერთობებზე და თავდაცვის გეგმებზე
3. ოპოზიციური დებატები 9 აპრილს დაგეგმილ აქციასთან დაკავშირებით. მონაწილეები: ლეიბორისტი გაგა გუგავა, კონსერვატორი კახა კუკავა, ოპოზიციონერი პარლამენტარი გია თორთლაძე

18.03.09 2 ბლოკი

1. ოპოზიციური დებატები 9 აპრილის თემაზე. „მრეწველთა პარტიიდან“ ზურაბ ტყემალაძე, პარლამენტარი ოპოზიციონერი გია ცაგარეიშვილი, „მომავლის პარტიის“ ლიდერი გია მაისაშვილი
2. განათლების რეფორმის კრიზისი. „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ თეა თუთბერიძე ხელისუფლებას რეფორმის შეჩერებისთვის აკრიტიკებს. ასევე

სტუდიაში 24-ე სკოლის დირექტორი გია მურდულია და ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის დირექტორი სიმონ ჯანაშია

25.03.09 2 ბლოკი

1. „აღინსი საქართველოსთვის“ ლიდერის ირაკლი ალასანიას ხედვა 9 აპრილის აქციების და ოპოზიციის ულტიმატუმის შესახებ
2. საზოგადოების წარმომადგენლების მოლოდინი და შეფასება 9 აპრილის აქციებისა. თეატრალური უნუვერსიტეტის რექტორი გიორგი მარგველაშვილი, მსახიობი ნინო ბურდული

01.04.09 2 ბლოკი

1. საქართველოსადმი დასავლეთის და კერძოდ აშშ-ს ახ. დმინისტრაციის დამოკიდებულება, რუსეთთან ურთიერთობის ფონი 2 აპრილის G-20 სამიტის წინ, ჩართავა მოსკოვიდან აშშ ჰადსონის უნუვერსიტეტის უფროსი ექსპერტი ანდრეი პიონტკოვსკი. სტუდიაში საზოგადოებრე საქმეთა ინსტიტუტის დეკანი ბაკურ კვაშილავა.
2. ხელისუფლების დამოკიდებულება დაგეგმილი 9 აპრილის აქციის და ოპოზიციის ულტიმატუმისადმი-პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე

08.04.09 3 ბლოკი

თემა ყველგან „9 აპრილი წინ“

1. დებატები. ხალხის პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი პარლამენტარ დავით დარჩიშვილის პირისპირ
2. რესპუბლიკელი ივლიანე ხაინდრავა ი. ჭავჭავაძის უნუვერსიტეტის პროფესორ გია ნოდინას პირისპირ
3. მხატვარი მაია ორჯონიკიძე მწერალ ბასა ჯანიკაშვილის პირისპირ

15.04.09 3 ბლოკი

1. აშშსაქართველოს მომავალ პარტნიორობაზე და საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის შეფასებაზე ვაშინგტონიდან საქართველოს ელჩი აშშ-ში ბათუ ქუთელია
„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე თავისი პარტიის დამოკიდებულებაზე მიმდინარე აქციებისადმი
2. მიხეილ მაჭავარიანი, საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი ხელისუფლების რესურსზე ოპოზიციასთან დიალოგისთვის
პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია რადიკალური ოპოზიციის პოზიციას წარმოადგენს
3. ისტორიკოსი და გერმანისტი ლაშა ბაქრაძე და ჟურნალისტი პაატა ვეშაპიძე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის პერსპექტივას აფასებენ

თოქ-შოუ “პირველი თემა”

თოქ-შოუ “პირველი თემაში” საანგარიშო პერიოდში გაშუქდა ყველა ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც ამ პერიოდში საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. იქედან გამომდინარე, რომ ამ პერიოდში საკმაოდ მაღალი იყო პოლიტიკური პარტიების აქტიუობა, გადაცემის მთავარი თემები ძირითადად პოლიტიკური მოვლენები გახდა. პარალელურად, თოქ-შოუს ეთერი დაეთმო საზოგადოებისთვის საინტერესო სოციალურ თემებს.

იანვარში “პირველი თემის” მთავარი თემები იყო: საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებული უსაფრთხოების ქარტია, ფინანსური კრიზისის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე, ოპოზიციის პოლიტიკური მოთხოვნები და ექსპერტების რეკომენდაციები, ოპოზიციაში მიმდინარე კონსულტაციები და მათ მიერ მიღებული დეკლარაცია, ევროსაბჭოს რეზოლუცია საქართველოსთან დაკავშირებით.

თებერვალში გადაცემის ერთ-ერთი მთავარი თემა ახალი მინისტრთა კაბინეტი და მთავრობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები გახდა. თოქ-შოუს ეთერში გაიმართა დისკუსიები პრეზიდენტის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით, ასევე კონფლიქტის ზონებში არსებულ ვითარებაზე. გადაცემის თემა გახდა ოპოზიციაში მიმდინარე კონსულტაციები, მათი მოთხოვნები და ახალი ალიანსების შექმნა, იაფი დაზღვევის პროგრამის ამოქმედება.

მარტში “პირველი თემაში” პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემები და მნიშვნელოვანი საკითხებიც გააშუქა. მათ შორის, პრობლემატური სესხების თემა და იაფი კრედიტის ახალი პროექტი. მარტში ასევე აქტიურად შუქდებოდა ოპოზიციის აქტიუობა, მათი მოთხოვნები და ინიციატივები. თოქ-შოუს თემა გახდა ხელისუფლების მიერ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება და ამ ჩანაწერებთან დაკავშირებული განსხვავებული პოზიციები.

საანგარიშო პერიოდში “პირველი თემის” სტუმრები იყვნენ: აკაკი მინაშვილი, გიორგი ცაგარეიშვილი, დავით დარჩიაშვილი, ნიკა ლალიაშვილი, ნიკა ენუქიძე, ვახტანგ ბუცხრიკიძე, თიკა რუხაძე, თორნიკე აბულაძე, პაატა შეშელიძე, ემზარ ჯგერენაია, ლევან აბაშიძე, დავით მადრაძე, ლაშა თაბუკაშვილი, ქეთი დუმბაძე, ლევან ღვინჯილია, ვახტანგ გურული, გია თორთლაძე, ლაშა ტუღუში, ზურაბ აბაშიძე, რამაზ საყვარელიძე, გია ხუხაშვილი, დავით გამყრელიძე, აკაკი ასათიანი, ლევან ვეფხვაძე, ნუგზარ წიკლაური, ირაკლი მელაშვილი, ზვიად ძიძიგური, გიგი წერეთელი, შოთა გვენეტაძე, სანდრო კვიციანი, გიორგი თარგამაძე, გიორგი გაბაშვილი, ჯონდი ბაღათურია, ლაშა ჟვანია, გიორგი ხუროშვილი, პაატა დავითაია, თემურ იაკობაშვილი, პავლე კუბლაშვილი, დავით ზურაბიშვილი, გურამ ჩახვაძე, ვიქტორ დოლიძე, ჩიორა თაქთაქიშვილი, გიგი უგულავა, მაგდა ანიკაშვილი, ეკა ბესელია, დავით უსუფაშვილი, ზაალ სამადაშვილი, დავით ბერძენიშვილი, კობა დავითაშვილი, კახა შარტავა, დოდო შონავა, მერი ოპეგანი, ზურაბ მელიქიშვილი, ბაკურ კვეხერელი, ფიქრია ჩიხრაძე, ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ვაჟა აბაკელია. ნესტან კირთაძე, კახა კუკავა, ლევან ყუბანეიშვილი, ირმა სოხაძე, ლევან გახელაძე, ბაჩუკი ქარდავა, მამუკა კაციტაძე, ზურაბ გვასალია, დავით ამალღობელი, ვახტანგ ბუცხრიკიძე, ნიკა შურღაია, ზურაბ აბაშიძე, შოთა მაღალაშვილი, ნინო ბურჯანაძე, ქეთუსია იგნატოვა, დავით საყვარელიძე, ქეთი ნემსაძე, გია მაისაშვილი, გიორგი ჩხეიძე, პაატა ვეშაპიძე, კონსტანტინე გამსახურდია, პეტრე ცისკარიშვილი, სიმონ მასხარაშვილი, მიხეილ გიორგაძე.

შემეცნებითი მიმართულება

თოქ-შოუ “მოკლე ჩართვა”

გადაცემის ქრონომ. – 45წთ.
სიხშირე – კვირაში 2-ჯერ
დროის სეგმენტი – 18სთ:00

თოქ-შოუ “მოკლე ჩართვა” არის შემეცნებით-გასართობი უანრის გადაცემა. თავისი ფორმატით თოქ-შოუ მოიცავს ახალგაზრდულ თემატიკას, დისკუსიებს ახალგაზრდების ინტერესებზე, პრობლემებზე და სხვა საინტერესო საკითხებზე. თოქ-შოუს ფორმატში ეთერში გასვლიდან მესამე თვეს სათანადოდ ვერ გამოიკვეთა სრულყოფის ტენდენცია. გადაცემის თემები ნაკლებად არის სამიზნე ჯგუფის ინტერესების შესაბამისად შერჩეული, სუსტია თემის გაშლა წამყვანების მიერ. გადაცემის დასკვნით ნაწილში წამყვანებს უჭირთ დისკუსიის შეჯამება. შემოქმედებით ჯგუფს ჭირდება მეტი მუშაობა თემატიკისა და შესაბამისი სტუმრების და აუდიტორიის მოსაძიებლად. 24.02.09-ში გასული გადაცემა თემით “პლასტიკური ქირურგია” იყო ახალგაზრდული გადაცემის ფორმატისთვის ყველაზე შეუსაბამო, სადაც გამოიკვეთა მთელი ჯგუფის სუსტი მუშაობის შედეგი. აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ თებერვლის ბოლო გადაცემას თემით –“ფოტოგრაფია” აშკარად დაეტყო სრულყოფის ტენდენცია. გადაცემის მწარმოებელ სტუდიას თვის ბოლოს გაეგზავნა გამაფრთხილებელი წერილი თოქ-შოუს ფორმატთან საზოგადოებრივი მაუწყებლის არგუმენტირებულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

თებერვალში ეთერში გავიდა შემდეგი გადაცემები:

03.02.09 თემა – სექსის კულტურა
სტუმრები: თენგიზ მაღალია, გივი სიხარულიძე
რეიტინგი – SHR თბ.-6,39% რეგ.-7,12%

- 05.02.09 თემა – ქართული ესტრადა
სტუმრები: რომა რცხილაძე, ლიზა ვადაჩკორია
რეიტინგი – SHR თბ.7,24% რეგ.-3,88%
- 10.02.09 თემა – აბორტები
სტუმრები: თამთა ჯაფარიძე, ქეთათო თოფურია
რეიტინგი –(მაჩვენებლები არ იყო მოწოდებული)
- 17.02.09 თემა – ნარკომანია საქართველოში
სტუმრები: დავით დოიაშვილი, მიშა მესხი
რეიტინგი –(მაჩვენებელი არ იყო მოწოდებული)
- 19.02.09 თემა – თანამედროვე პოეზია
სტუმრები: დავით ჩიხლაძე, ქეთი შენგელია
რეიტინგი –(მაჩვენებელი არ იყო მოწოდებული)
- 24.02.09 თემა – პლასტიკური ქირურგია
სტუმრები: ივა კუზანოვი, გიგა ქაცარიძე
რეიტინგი –(მაჩვენებელი არ იყო მოწოდებული)
- 26.02.09 თემა – ფოტოგრაფია
სტუმრები: ირმა შარიქაძე, დათო ხიზანიშვილი
რეიტინგი – SHR თბ.-1,60% რეგ.-4,67%

“მოკლე ჩართვა”– მარტში ეთერში გასული გადაცემები:

- 3.03.09 თემა – ალტერნატიული მუსიკა
სტუმრები: ქეთი ორჯონიკიძე, ბაკურ ბურდული
რეიტინგი – SHR თბ.-7,42% რეგ.-8,25%
- 5.03.09 თემა – ავტოსპორტი
სტუმრები: თამარ ალფაიძე, ნიკა ლომიძე
რეიტინგი –SHR თბ.-6,36% რეგ.1,91%
- 10.03.09 თემა – ჰიპ-ჰოპი
სტუმრები: Big-თიკო, ამირან ნინუა-ქათქილი
რეიტინგი –SHR თბ.-6,45% რეგ-2,30%
- 12.03.09 თემა – ახალგაზრდა დიზაინერები
სტუმრები: ანზორ თეთრაძე, ნინო ქარსელაძე, ლაშა ჯოხაძე,
ნატა ზარნაძე, თათია ამირანაშვილი, სოფო ბუცხრიკიძე
რეიტინგი – SHR თბ.-7,26% რეგ.-5,68%
- 17.03.09 თემა – ინტერნეტ კომუნიკაცია: სოც. ქსელი, ფორუმი
სტუმრები: გიგა პაიჭაძე, გიგა ნასარიძე
რეიტინგი –SHR თბ.-5,62% რეგ.-0,42%
- 19.03.09 თემა – თანამედროვე წარმატებული ფილმები
სტუმრები: გიორგი ლიფონავა, ქეთი მაჭავარიანი, მიშა მესხი
გიორგი კალანდაძე
რეიტინგი –SHR თბ.-8,78% რეგ.-8,84%
- 24.03.09 თემა – ქუჩის მხატვრობა: გრაფიტი და სტენსილი
სტუმრები: ლაზარე მესხი, ლევან ბუცხრიკიძე
რეიტინგი –SHR თბ.-3,36% რეგ.-3,73%

- 26.03.09 თემა – თეატრის საერთაშორისო დღე
სტუმრები: ნინო ბასილია, ამირან შალიკაშვილი, მიხეილ ანთაძე
რეიტინგი –SHR თბ.–5,85% რეგ.–5,83%
- 31.03.09 თემა – ახალგაზრდა დედები და ძიძების ინსტიტუტი
სტუმრები: ანანო კეკელია, კატო კვიციანი, ია ახვლედიანი
რეიტინგი –SHR თბ.–4,25% რეგ.–6,41%

მარტის თვეში თოქ-შოუ “მოკლე ჩართვაში” განხორციელდა სერიოზული ცვლილებები შემოქმედებით ჯგუფში, გადანაწილდა ფუნქციები, დაიხვეწა თემატიკა, მიზნობრივად შეირჩა აუდიტორია და სტუმრები. თუმცა, განხორციელებულმა ღონისძიებებმა საბოლოოდ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი.

“ჩვენებურები”

გადაცემის ქრონომ. – 45წთ.
სიხშირე – კვირაში 1
დროის სეგმენტი – 22სთ.

გიორგი კალანდიას დოკუმენტური სერიალი საკმაოდ დიდი შემეცნებითი ღირებულების მქონე, კარგად გააზრებული და ასევე კარგად განხორციელებული პროექტია. დოკუმენტური სერიალი გვაწვდის საინტერესო მასალას უცხო ქვეყნებში მოღვაწე ცნობილი თუ დღემდე უცნობი ქართველების შესახებ. მაყურებელმა თებერვალ-მარტში იხილა უნიკალური ვიზუალური მასალა და შეიტყო დღემდე უცნობი ისტორიები ცნობილი ისტორიული პირების თუ ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ. დოკუმენტური სერიალი არის კარგად მოფიქრებული, ძნელად მოსაძიებელი დოკუმენტური მასალით გაჯერებული, მაღალი დონის ოპერატორული ნამუშევრით და კარგი მონტაჟით შესრულებული. ერთი სიტყვით, ის სრულად ჯდება დოკუმენტალისტიკის კლასიკურ ჩარჩოებში.

საკვირაო სკოლაში ბავშვებისთვის საინტერესო თემა შეირჩა – ეს არის გარეული ცხოველები... ბაბილინა გვიყვება გარეულ ცხოველებზე და გვაჩვენებს საინტერესო ვიდეო კადრებს... ბავშვები კი მღერიან გარეულ ცხოველებზე, გადაცემაში ასევე საშუალება გვეძლევა დავათვალიეროთ ნახატები გარეულ ცხოველებზე, რომლებიც გამოაგზავნეს მაყურებელმა ბავშვებმა... სახალისო გაკვეთილისა და სიმღერის გაკვეთილის შემდეგ ბავშვები ხელსაქმის გაკვეთილზე სწავლობენ აპლიკაციებით ბალიშების გაკეთებას...

8 მარტი – ქრონი: 1:08:00

ეს გადაცემა მიეძღვნა დედის დღეს, მართალია დედის დღე უკვე იყო, მაგრამ ბავშვები ყვებიან თუ როგორ მიულოცეს დედებს... ხელსაქმის გაკვეთილზე სწავლობენ ლამაზი თაიგულის დამზადებას... და გაკეთებული თაიგულებით აწყობენ წარმოდგენას, (წარმოდგენა გაფორმებულია სიმღერებით) ტრადიციულად ყველა გადაცემაში ტარდება სიმღერისა და ცეკვის გაკვეთილები... 8 მარტს ერთ-ერთი გაკვეთილის თემა იყო მზე... ბაბილინა უყვება ბავშვებს მზეზე და აჩვენებს ვიდეო კადრებს, ბავშვები უმღერიან მზეს...

15 მარტი – ქრონი: 1:10:22

ბაბილინას გადაცემა ძალიან საინტერესო ამბით იწყება, ბავშვები ცდილობენ გამოაწყონ ჩუნგა-ჩანგას დედოფალი, გადაცემის მსვლელობისას ისინი ულამაზეს ყელსაბამებს და მოსართავ აქსესუარებს ამზადებენ ჩუნგაჩანგას დედოფლისთვის... პარალელურად ბაბილინას სკოლაში გაკვეთილები გრძელდება. სიმღერის გაკვეთილზე ბავშვები სწავლობენ სიმღერას წვიმაზე, ანიმაციაზეც წვიმის თემაა აქტუალური... თავისუფალ თემაზე -ბავშვები ტყეზე საუბრობენ, ბაბილიმამ ძალიან ბევრი რამ მოუყვა ბავშვებს ტყეზე... ვიდეო კადრები უჩვენა.. ბავშვებმა კი სიმღერები მიუძღვნეს ტყეს... გადაცემას ასრულებს ბავშვების მიერ გამოწყობილი ჩუნგა-ჩანგას დედოფალი სოლისტი, ის მღერის ჩუნგა-ჩანგას სიმღერას, დანარჩენები ბავშვები კი ცეკვავენ...

22 მარტი – ქრონი: 1:08:45

გადაცემაში აქტუალური თემაა გაზაფხული... დილა იწყება გაზაფხულის კონცერტით.. ბაბილინა საინტერესო ამბებს ყვება გაზაფხულზე, ბავშვები კი სიმღერებს უძღვნიან... სახალისო ცეკვაზეც საგაზაფხულო განწყობაა, ხელსაქმის გაკვეთილზე ბაბილინა ბავშვებს ასწავლის, თუ როგორ უნდა მოუარო ოთახის ყვავილებს. გაზაფხულს უმღერიან სიმღერის გაკვეთილზეც...

29 მარტი – ქრონი: 1:09:56

კვირა დილით ბაბილინასთან სტუმრად იყვნენ ბავშვები, რომლებმაც ბაბილინას დახმარებით ჩაატარეს სახალისო გაკვეთილები. ბაბილინამ და ბავშვებმა მაცურებელს ასწავლეს სახალისო ცეკვა, რომელიც მარტივ მოძრაობებზეა აგებული. ბავშვები თან მღერიან და თან ცეკვავენ (სიმღერა-„იხვის ჭუკი). ასევე დამხმარე ნოტებთან ერთად ბაბილინამ მაცურებელს ასწავლა სიმღერა „გაზაფხული“. ხელსაქმის გაკვეთილზე ბაბილინამ და ფუსფუსებმა გამოაწყვეს ჩუნგა-ჩანგას დედოფალი და ასევე მაცურებელს ასწავლეს, თუ როგორ იქმნება საკარნავალო სამოსი. გაკვეთილი თავისუფალი თემა მიეძღვნა გაზაფხულის კონცერტს. ბავშვები უმღერიან გაზაფხულს და ბაბილინა გვიამბობს საინტერესო ამბებს გაზაფხულზე.

5 აპრილი – ქრონი: 1:10:56

ბავშვები თამაშობენ პროფესიობანას... ზოგი ექიმი, ზოგი მშენებელი, ზოგიც მკერავი და ბაღერიანი... წარმოდგენა, რომელიც ერთი საათი გრძელდება სიმღერებითაა და ასევე კოსტუმირებულია... გადაცემაში არის სიმღერისა და ცეკვის გაკვეთილები... ხელსაქმის გაკვეთილზე, რომელსაც სიმბოლურად ეწოდა ზოოპარკი. სახლში- ბავშვებმა ისწავლეს ცხოველების დამზადება და საკუთარი ხელით დაამზადეს ზებრა, ჟირაფი...

12 აპრილი – ქრონი: 1:10:00

ბაბილინას სახლში საადღგომო მზადებაა სულ რაღაც ერთ კვირაში მოდის აღდგომის დღესასწაული, ამიტომ ბავშვები წინასწარ სწავლობენ, თუ როგორ უნდა მოხატო საადღგომო კვერცხები და ერთი კვირით ადრე თესავენ ხორბალს... თავისუფალ თემაზე, გაკვეთილის თემა იყო წვიმა... ისმის ჭექა-ქუხილისა და წვიმის ხმა.. ბაბილინა ბავშვებს უყვება წვიმაზე, გაბრაზებულ ღრუბლებზე, რომლებიც წარმოქმნიან ჭექა-ქუხილს... ბაბილინა ბავშვებს უმღერის წვიმაზე, გახალისებული ბავშვები წვიმას კონცერტს გაუმართავენ... კონცერტის დახმარებით ბაბილინა თავის მაცურებელს უამბობს, თუ რა მნიშვნელოვანია წვიმა და რამდენი სარგებლის მოტანა შეუძლია მას... ტრადიციულად ტარდება სახალისო და სიმღერის გაკვეთილები...

19 აპრილი – ქრონი:

საადღგომო გადაცემა – ბავშვებმა გააწყვეს საადღგომო სუფრა, სუფრაზე გამოიყენეს თავისი ხელით შეღებილი კვერცხები და დათესილი ჯეჯილი... მთელი გადაცემა ეძღვნება საადღგომო კონცერტს... გადაცემაში არის აგრეთვე სიმღერის გაკვეთილი...

26 აპრილი – ქრონი:

გადაცემა ეძღვნება ზღაპრებს... ბავშვებს ბაბილინასთან მოაქვთ მათი საყვარელი ზღაპრის წიგნები... ბაბილინა სათითაოდ ათვალიერებს მათ საყვარელ ზღაპრის წიგნებს და შეკითხვებს უსვამს ზღაპრებიდან ბავშვებს... ბავშვები ყვებიან ზღაპრის გმირებზე და ახასიათებენ თითოეულ მათგანს... შემდეგ ისინი გადაწყვეტენ თვითონ მოირგონ ზღაპრის გმირების კოსტუმები. შუალედში, სანამ ბავშვები კოსტუმებს ირგებენ ბაბილინა ატარებს სახალისო გაკვეთილს....

მუსიკალური მიმართულება

- 1 იანვარი – ვენის სიმფონიური ორკესტრი (პირდაპირი, ჩავიწერეთ)
- 24 მარტი – ნიკა მემანიშვილი(ჩავიწერეთ)
- 5 მარტი – მაია ბარათაშვილი (ჩავიწერეთ)
- 10 მარტი – ბიძინა კვერნაძე (ჩავიწერეთ)
- 19 მარტი – ნინო ანანიაშვილი (ჩავიწერეთ)
- 23 მარტი – ვახტანგ კახიძე (ჩავიწერეთ)
- 29 მარტი - „ტრავიატა” (ჩავიწერეთ)

ეთერში გადის მუსიკალური სერიალი “კაბარე 5 ვარსკვლავი” კვირაში ორჯერ (შაბათს და კვირას 23:00) და გადაცემა “ნაცნობი” კვირაში ერთხელ (შაბათს 22:00)

25 იანვარს – ეთერში გავიდა გადაცემა “ქართული ხმები” კვირაში ერთხელ (კვირას 13:15)

გადაცემის მიზანია ტელემეყურებელს მიაწოდოს ინფორმაცია სხვადასხვა ფოლკლორულ კოლექტივებზე და ფოლკლორში მოღვაწე კონკრეტულ პიროვნებებზე, ანსამბლ “ქართული ხმების” წევრები დადიან სტუმრად საქართველოს რეგიონებში და მასპინძლებთან ერთად

მაყურებელს ახსენებენ მივიწყებულ ხალხურ ტრადიციას და შეძლებისგვარად ხელს უწყობენ მის აღორძინებას.

სპორტული მიმართულება

2009 წლის პირველი სამი თვე ჩვეულებრივ დატვირთული იყო სპორტული მიმართულებისათვის რეპორტაჟებითა და გადაცემებით.

იანვარში, მოგეხსენებათ, რომ შეჯიბრებები (სათამაშო სახეობებში) ნაკლებად იმართება – ამიტომაც ფეხბურთსა და კალათბურთში პირველ არხზე იანვარში რეპორტაჟები არ გადაცემულა. რაც შეეხება თოქ-შოუ “გოლს” მან ჩვეულებრივ რეჟიმში, ყოველ ორშაბათს პირდაპირ ეთერში იმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატში შესვენება იყო-“გოლმა” გარკვეული დრო განვლილ ეტაპს, შედეგებს და პრობლემურ საკითხებს დაუთმო. საუბარი იყო ასევე, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე, საფეხბურთო ბაზების, მინდვრების მდგომარეობასა და მწვრთნელთა მომზადება-გადამზადების საკითხებს. ერთი გამოშვება მთლიანად დაეთმო ქართულ ფეხბურთში შექმნილ პრობლემებს. ასევე, ეთერში სამჯერ გავიდა გადაცემა ავტომოყვარულთათვის “ტრანსმისია”

თებერვლიდან განახლდა საქართველოს ჩემპიონატები კალათბურთსა და ფეხბურთში. პირველი თებერვლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში გადაიკა სუპერლიგის ცენტრალური მატჩების ოთხი რეპორტაჟი. პირველი არხით გადაიკა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ცენტრალური რვა შეხვედრა-თბილისიდან, გორიდან, ბოლნისიდან, ზესტაფონიდან.

11 თებერვალს ღამის ეთერში გადაიკა პირდაპირი რეპორტაჟი გლაზგოდან – ფეხბურთში მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევი ეტაპის მატჩი ირლანდია-საქართველო. ინტერესი ამ შეხვედრისადმი დიდი იყო, თუმცა ქართველმა ფეხბურთელებმა ვერაფრით გაახარეს გულშემატკივრები.

ფეხბურთელებისაგან განსხვავებით, დიდი სიხარული მოუტანეს სპორტის მოყვარულებს ქართველმა რაგბისტებმა, რომლებმაც ჯერ 14 თებერვალს თბილისში პორტუგალიას, ხოლო 28 თებერვალს ესპანეთში ესპანელებს სძლიეს. ამ შეხვედრების რეპორტაჟები საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში გადაიცა.

თებერვალში საფეხბურთო თოქ-შოუ “გოლმა” ძირითადი ყურადღება დაუთმო ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატს, მასში შექმნილ სხვადასხვა პრობლემებს. საუბარი იყო ქვეყნის სხვადასხვა პრობლემებზე. კერძოდ, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში მოედნების ცუდ მდგომარეობაზე. თებერვალში რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო მოედნები არ შეესაბამებოდა სტანდარტს.

გარდა ამისა, უსახსრობის გამო პრობლემები შეექმნათ ჩემპიონატში მონაწილე რამდენიმე გუნდს. საუბარი იყო მსაჯობაზე და მათ მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

28 თებერვლიდან პირველ არხზე დაიწყო დოკუმენტური ფილმის “სამხრეთ აფრიკა-2010”, რომელშიც საუბარია ფეხბურთში მსოფლიოს მომავალი წლის ჩემპიონატზე, მასში მონაწილე გუნდებსა და საფეხბურთო ისტორიაზე.

თებერვალში ეთერში გადაიცა “ტრანს-მისიის” ოთხი გადაცემა, რომელმაც ავტომოყვარულთა საინტერესო საკითხებთან ერთად მრბოლელთა კონკურსიც დაიწყო, რომელიც მაისში დამთავრდება და გამარჯვებულებს გამოვლინდება.

2009 წლის მარტში 14 რეპორტაჟი გადაიცა პირველი არხით-ფეხბურთში, კალათბურთსა და რაგბში. ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მატჩების რეპორტაჟები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან მოეწყო.

თბილისის სპორტის სასახლიდან გადაიციელოდა საკალათბურთო სუპერლიგის პირდაპირი რეპორტაჟები.

14 მარტს თბილისში საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა რუმინეთის ნაკრები, ხოლო 22 მარტს, ქართველმა მორაგბეებმა მარიოპოლში სძლიეს გათამაშების ლიდერს რუსეთის გუნდს და სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი დაიკავეს.

თოქ-შოუ “გოლმა” კვლავაც დიდი ყურადღება დაუთმო ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ტურის ცენტრალურ და სადაო მატჩებს. სტუდიაში მიწვეულმა სპეციალისტებმა, კლუბის მესვეურებმა და მწვრთნელებმა ისაუბრეს მიმდინარე ჩემპიონატსა და ყველა მტკივნეულ საკითხებზე.

“გოლმა” ორი გადაცემა დაუთმო საქართველოს ნაკრებს. ქართულ ფეხბურთში შექმნილ რთულ ვითარებაზე ისაუბრეს სტუდიაში მოწვეულმა სტუმრებმა და ტელემყურებლებმა, რომლებიც სტუდიაში ტელეფონით და მოკლე ტექსტური შეტყობინებებით გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა უპასუხეს ოპონენტებს და ისაუბრეს პრობლემების დაძლევის გზებზე.

მარტში გადაცემა “ტრანს-მისია” არსებული ფორმატით ოთხჯერ გავიდა პირველი არხის ეთერში. საუბარი იყო ავტომობილებსა და ავტომოყვარულებისათვის საინტერესო თემებზე.

28 მარტს ეთერში გავიდა დოკუმენტური ფილმი “სამხრეთ აფრიკა-2010”.

არქივის სამსახური

ტელევიზიების პროდუქციის კინოფირიდან ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადმოტანილია 22 აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები, საერთო მეტრაჟით დაახლოებით 6 სთ.

1. აფხაზეთის ტელევიზია - 1 ნაწ.
2. დ/ფ. „გრძელი ღიღინი“ – 2 ნაწ.
3. დ/ფ. „დღე“ - 1 ნაწ.
4. მოკ/ფ. „ჰობოი“ – 3 ნაწ.
5. მოკ/ფ. „მსაჯი“ - 3 ნაწ.
6. მოკ/ფ. „ვერნისაჟი“ - 2 ნაწ.
7. მოკ/ფ. „ალავერდი“ – 4 ნაწ.
8. მოკ/ფ. „მონადირე“ – 2 ნაწ.
9. მოკ/ფ. „ბუზი“ – 2 ნაწ.
10. მოკ/ფ. „ნანა“ - 2 ნაწ.
11. მოკ/ფ. „საფეხურები“ - 1 ნაწ.
12. მოკ/ფ. „ორშაბათი“ – 1 ნაწ.
13. მოკ/ფ. „გასეირნება“ – 2 ნაწ.

14. მოკ/ფ. „რევანში“ - 1 ნაწ.
15. მოკ/ფ. „ბორანი“ – 2 ნაწ.
16. მოკ/ფ. „სისხლიანი სცენარი“ – 2 ნაწ.
17. მოკ/ფ. „ნოქტიურნი“ – 1 ნაწ.
18. მოკ/ფ. „პაპა და პატარა მედოლე“ - 1 ნაწ.
19. მოკ/ფ. „მარადიული სიცოცხლე“ - 1 ნაწ.
20. მოკ/ფ. „გამსვლელი პაიკი“ - 3 ნაწ.
21. მოკ/ფ. „ფროთხილათ ნინიკო“ - 1 ნაწ.
22. კერძო მასალა – 1 ნაწ.

დიდი ვიდეოფირებიდან (55 მმ) ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადმოტანილია 3 ერთ. აუდიო-ვიზუალური მასალა, საეთერო მეტრაჟით დაახლოებით 2 სტ.

1. მარიამობა - 89;
2. მარიამობა - 89;
3. სამონტაჟო მასალები;
- **ვიდეოფონდში** დაცულმა, გაშიფრულმა და სისტემატიზირებულმა (მოწესრიგებული აღრიცხვა, შინაარსობრივი დამუშავება) მასალამ (გადაცემები, მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები, სპექტაკლები, სატელევიზიო სპექტაკლები, პროგრამები, სპორტი, მუსიკა და ა.შ.), - შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში შეადგინა **965** ჩანაწერი;
- **აუდიოფონდში** (ოქროს ფონდი - რადიოს მასალები) – **1 030** ჩანაწერი;

P.S. აღწერის მონაცემები შედის არქივის კომპიუტერულ პროგრამაში. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს მონაცემთა ბაზას MS SQL სერვერზე, რომელიც ჩართულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ლოკალურ კომპიუტერულ ქსელში.

მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახური

მარკეტინგის განყოფილება

სერიალების ტესტირება

3-5 მარტის ჩათვლით ჩატარდა თვისობრივი კვლევა 8 სერიალის ტესტირების მიზნით.

- ფოკუს ჯგუფების რაოდენობა – 4.
- ასაკი – შერეული 25 – 55.
- სამიზნე აუდიტორია – 100 % ქალები.
- თითო დისკუსიის საშუალო ხანგრძლივობა – 6 საათი.

ტესტირების შედეგად გამოიკვეთა აუდიტორიისთვის ყველაზე საინტერესო პროდუქტები. ასევე გავიგეთ ის ფაქტორები და მათი მნიშვნელობა, რაც განაპირობებს მაყურებლის არჩევანს თუ რომელ სერიალს უყუროს.

ქართული სერიალი

ჩვენი მიზანი იყო შეგვექმნა საპრნის ოპერის სიუჟეტის კონცეფცია და ძირითადი მიმართულებები. ამისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მასალები:

- IPM - ის სერიალის კონცეფციის კვლევა;
- ლათინოამერიკული სერიალების ფოკუსური ჯგუფებით ტესტირების შედეგები;
- თბილისური საგა და ჟამი ყვავილობისა;
- უცხოური სერიალების სინოფსისი;

შედეგად ჩვენ მივიღეთ მთავარი გმირების პერსონიფიკაცია და სიუჟეტის ძირითადი ხაზები. შექმნილი ფიბულა დაურიგდა რამოდენიმე სცენარისტს, ვისაც სიუჟეტის გაშლა დაევადა.

გასეირნება ყარაბახში

19 მარტს დაგეგმილი ფილმის პრემიერის პრომოუშენის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა PR კამპანია 1 არხის გადაცემების გამოყენებით. პრემიერამდე, ორი კვირის განმავლობაში, ყარაბახის მსახიობები და გადამღები ჯგუფის წევრები იყვნენ მოწვეულნი არის რამოდენიმე გადაცემაში.

ასევე დამზადდა 1 არხის პორტატული ბანერები, რომლებიც დაიდგა კინოთეატრებში – “ამირანი” და “რუსთაველი”.

ყარაბახის ყოველი სეანსის წინ გადის 1 არხის სარეკლამო რგოლები.

სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით შეირჩა პროექტები – ფილმები 1 არხზე, სერიალები 1 არხზე, დოკუმენტური ფილმები 1 არხზე. ანონსების ჯგუფთან ერთად შემუშავდა რგოლების კონცეფცია.

რალი

1 არხის გადაცემების – “გოლი”, “მოამბე”, “ტრანსმისია”, “მე მიყვარს საქართველო” სარეკლამო ბანერები განთავსდა რუსთავის ეროვნულ ავტოდრომზე. ასევე რალიში მონაწილე ერთერთი მანქანა ასპარეზობს 1 არხს სახელით და შეფუთულია არხის პოსტერებით.

ბადე

ტელეაუდიტორიის ქცევის და კონკურენტი არხების პროგრამირების გათვალისწინებით შემუშავდა რეკომენდაციები ახალი ეთერის ბადისთვის (ოქტომბერი 2009).

გადაცემების მონიტორინგი

სისტემატიურად მიმდინარეობს 1 არხის ყველა გადაცემის მონიტორინგი. ანალიზდება გადაცემის თემები, სტუმრები და სხვა დეტალები სამიზნე აუდიტორიის თვისებებთან და ქცევებთან მიმართებაში. შემუშავდა თითოეული გადაცემის სუსტი და ძლიერი მხარეები.

სატელევიზიო ბაზრის მონიტორინგი

ყოველდღიურად მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის მონიტორინგი. მონიტორინგი ხდება “people meters” –ების საშუალებით. ყოველდღიურად მზადდება სარეიტინგო მონაცემები ქართულ სატელევიზიო სივრცეში არსებულ ტელეარხებზე, სატელევიზიო გადაცემებზე. განიხილება და ანალიზდება ტელემაყურებელთა სამომხმარებლო ქცევის ტენდენციები.

მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად.

სატელევიზიო პროექტების მიმართულების პროდუსერებთან სისტემატიურად მიმდინარეობს ტელეაუდიტორიის ქცევის ანალიზი. ანალიზის შედეგად მზადდება რეკომენდაციები გადაცემების გაუმჯობესების მიზნით.

ასევე მზადდება სხვადასხვა სარეიტინგო ინფორმაცია ევროპის მაუწყებელთა კავშირისთვის (EBU).

2009 წლის იანვარი/თებერვალი/მარტი

მოქალაქეების წერილებზე, მეილებსა და სატელეფონო ზარებზე პასუხის გაცემა, საჩივრებსა და მოთხოვნებზე შესაბამისი რეაგირება;

ევროვიზიის შიდაშესარჩევ კონკურსთან დაკავშირებული აქტოვობები – პრეს კონფერენციის მოწყობა, განცხადებების დაგზავნა სააგენტოებში, სტატიების,

ინტერვიუების განთავსება შესაბამის მედია გამოცემებში თუ სატელევიზიო თუ რადიო სიუჟეტების დამზადება;
პირველი არხის საიმიჯო იმიჯზე ზრუნვა;
გადაცემების რეკლამირების მიზნით, სხვადასხვა ბეჭდურ მედია საშუალებებში შესაბამისი გადაცემის შესახებ სტატიების განთავსება – ინტერვიუების ან ინფორმაციული სტატიების სახით;
გადაცემა “საქართველოს დიდი ათეული” – სარეკლამო მიზნით გამართული პრექტოვობების მხარდაჭერა და საინფორმაციო უზრუნველყოფა;
შვედეთისა და პოლონეთის საზოგადოებრივი მაუწყებლების ჟურნალისტებთან მუშაობა – საზოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიოს მუშაობის სპეციფიკის გაცნობა მათთვის;
პირველი არხის და სხვადასხვა კომპანიების მიერ ორგანიზებული ივენთების შესახებ ინფორმაციის განთავსება ვებ გვერდზე;
სხვადასხვა საიმიჯო თუ სასპონსორო ივენთების დაგეგმვა, ჩატარება.

სარეკლამო სამსახური

2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 თებერვლამდე		
დამკვეთი	ხელშეკრულების №	სარეკლამო ღირებულება
შპს "მედია ჰაუსი"	234-10	42647,24
შპს "საქართველოს ბანკი"	215-38	29976,02
აიპ "ადამიანის უფლ.ცენტრი"	1-2	96,00
აიპ "ადამიანის უფლ.ცენტრი"	12-6	90,60
შპს "ივერიული"	238-6	900,00
ჯამი:		73709,86

ბარტერი

2009 წლის 1 თებერვლიდან 2009 წლის 1 მარტამდე		
დამკვეთი	ხელშეკრულების №	სარეკლამო ღირებულება
შპს "მედია ჰაუსი"	234-10	87902,69
შპს "საქართველოს ბანკი"	215-38	29994,01
შპს "პალატი ჯგუფი"	32-1	449,17

ბარტერი

საქკალათ.ეროვნული ფედ.	9-3	1500,00	ბარტერი
შპს "ო.ეს.ეს.ჯორჯია"	233-1	2094,00	ბარტერი
შპს "ბოდი იმიჯი"	3-7	572,50	ბარტერი
ჯამი:		122512,37	

2009 წლის 1 მარტიდან 2009 წლის 1 აპრილამდე			
დამკვეთი	ხელშეკრულების №	სარეკლამო ღირებულება	
შპს "მედია ჰაუსი"	234-10	87549,95	
შპს "საქართველოს ბანკი"	215-38	29691,22	
აიპ "ადამიანის უფლ.ცენტრი"	43-2	85,20	
შპს "პალატი ჯგუფი"	32-1	3388,00	ბარტერი
საქკალათ.ეროვნული ფედ.	9-3	500,00	ბარტერი
შპს "ო.ეს.ეს.ჯორჯია"	233-1	4320,00	ბარტერი
შპს "პაკო"	47-1	2686,00	ბარტერი
შპს "სარკე"	44-1	1440,00	ბარტერი
შპს "ბოდი იმიჯი"	3-7	4380,00	ბარტერი
ჯამი:		134040,37	

ვებ-გვერდი

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდის ჯგუფმა მოამზადა რამდენიმე საიტი-პირველი არხის (www.1tv.ge), საზოგადოებრივი მაუწყებლის (www.gpb.ge), საქართველოს რადიო-პირველი არხის (www.radiol.ge). ამჟამად მიმდინარეობს რადიო2 -ქართული რადიოს (www.radio2.ge) საიტზე მუშაობა.

არხზე ყოველი გადაცემის დამატებისას იქმნება ახალი გვერდი, სადაც განთავსებულია წამყვანების შესახებ ინფორმაცია, ანოტაცია, ფოტოგალერეა, ასევე ვიდეოფაილები. მთავარ გვერდზე კი განთავსებულია გადაცემის ბანერი და ანონსები.

კვლავ ყოველდღიურად განახლებადია «მოამბის» გვერდი. ყველა ახალ ამბავს ახლავს რამდენიმე ფოტოკადრი. ამავე გვერდზე ხდება არამარტო მთავარი თემების ვიდეოფაილების ატვირთვა, არამედ ყველა იმ სიახლის, რომელსაც საინფორმაციო სამსახური ამოუქვს.

ყოველკვირეულად იცვლება ტელეპროგრამის სრული და მსუბუქი ვერსია. იცვლება თითოეული პროგრამის მოკლე აღწერილობა.

საიტზე განთავსებული ე.წ. ბლოგები მომხმარებელს კვლავ აძლევს საშუალებას შექმნას მისთვის სასურველი დღიური და გააკეთოს კომენტარი.

საიტის www.1tv.ge საშუალებით კვლავ ხორციელდება გლობალური სტრიმინგი. ვებ-მაუწყებლობა ვრცელდება არამარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ უცხოეთის ქვეყნებში საიტის ნებისმიერ ვიზიტორს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს live-ით.

საიტზე www.gpb.ge ხდება მაუწყებლის მიერ გამოცხადებული კონკურსების და ტენდერების, ასევე ახალი განცხადებების განთავსება.

დასრულდა www.radio1.ge საიტზე მუშაობა. მთავარ გვერდზე განთავსდა წამყვანების ფოტოები, ანონსები, ყოველკვირეულად იცვლება პროგრამა, ემატება რადიოთეატრის ანონსი და რადიოსპექტაკლი.

მომხმარებელს საშუალება აქვს შექმნას მისთვის სასურველი დღიური და გააკეთოს კომენტარი.

მომხმარებელს საშუალება აქვს მოისმინოს ყველა გასული გადაცემა, ასევე ისარგებლოს LIVE-ით.

საიტზე ამ პერიოდის განმავლობაში სულ დაფიქსირდა: 477963 ვიზიტორი.

საიტს დღეში საშუალოდ ჰყავს 3648 ვიზიტორი.

საიტს ყველაზე მეტი მომხმარებელი (9258 ვიზიტორი) ჰყავდა 9 თებერვალს.

	ქვეყანა	ვიზიტორი
1.	საქართველო	336,599
2.	აშშ	40,609
3.	რუსეთი	21,159
4.	გერმანია	20,603
5.	დიდი ბრიტანეთი	8,203
6.	საფრანგეთი	7,036
8.	ესპანეთი	3,336
9.	ნიდერლანდები	3,305
10.	თურქეთი	3,215
11.	საბერძნეთი	2,729
12.	ბელგია	2,717
13.	იტალია	2,109
14.	ავსტრია	1,983
15.	კანადა	1,939
16.	ისრაელი	1,651
17.	უკრაინა	1,560
18.	პოლონეთი	1,194
19.	ირლანდია	1,165

ქვეყანა	ვიზიტორი
20. შვედეთი	1,124

მიმდინარეობს junior.eurovision-georgia.ge საიტის დიზაინზე მუშაობა.

მონიტორინგის სამსახური

მონიტორინგის სამსახურის ძირითად მოვალეობაში შედის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების პროფესიულ სტანდარტებსა და ეთიკის პრინციპებთან შესაბამისობის კონტროლი, ამ სტანდარტების დარღვევების შესახებ შემოსული საჩივრების შესწავლა და მათზე შესაბამისი რეაგირება.

2009 წლის 26 მარტს მონიტორინგის სამსახურმა საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტისთვის მაუწყებელთა ქცევის კოდექსის პრეზენტაცია მოაწყო. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის საფუძველზე მიიღო. ქცევის კოდექსი არის ნორმატიული აქტი, რომელიც 12 მარტს იქნა მიღებული და ძალაში 4 აპრილს შევიდა. კოდექსი განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ პროგრამების მომზადებისა და გადაცემის პრინციპებს, წესებსა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს. პრინციპები და წესები სავალდებულოა შესასრულებლად, სახელმძღვანელო რეკომენდაციები წარმოადგენს მეთოდურ მითითებებს, რომელთა გამოყენებითაც მაუწყებელს შეუძლია, დაიცვას კოდექსით დადგენილი პრინციპები და წესები.

2009 წლის 1-ლ კვარტალში მონიტორინგის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტების ერთკვირიან ტრენინგში, რომელიც თებერვალში „ბიბისი“-ს ექსპერტმა ჩაატარა. „ბიბისი“-ს ექსპერტის თხოვნით, მონიტორინგის სამსახური ამ ტრენინგების პირველ ნაწილს ესწრებოდა, ვინაიდან ეს ნაწილი საზოგადოებრივი მაუწყებლის „ქცევის კოდექსის“ მოთხოვნების შესრულებას ეთმობოდა.

2009 წლის თებერვალში მაუწყებელში შემოვიდა იდენტური შინაარსის ორი საჩივარი პროფესიული სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით. მონიტორინგის სამსახურმა შეისწავლა ეს საჩივრები. პრეტენზიები იყო გამოთქმული ახალგაზრდული ტოკშოუ „მოკლე ჩართვის“ და ტელესერიალების „ზებუნებრივის“ და „ლას ვეგასის“ შესახებ, კერძოდ, მათი ტრანსლირების დროის, „მოკლე ჩართვაში“ შეუფერებელი თემების განხლვის და სერიალებისთვის მცდარი საკლასიფიკაციო კატეგორიების მინიჭების შესახებ.

მონიტორინგის სამსახურმა სამართლიანად მიიჩნია პრეტენზია გადაცემების ტრანსლირების შეუფერებელ დროსთან დაკავშირებით. „მოკლე ჩართვაში“ ზოგჯერ ისეთი თემები განიხილებოდა, რომლებიც არ არის შესაფერისი მცირეწლოვანთათვის. ეს გადაცემა 18:00 საათზე გადის, ანუ ისეთ დროს, როდესაც მაყურებელთა შორის ბევრი მცირეწლოვანი ბავშვია და დიდია ალბათობა, რომ ისინი ტელევიზორს მშობლების გარეშე უყურებენ. ამ გადაცემაში განხილული თემები (მაგალითად, სექსშოპები, აბორტები თინეიჯერებში, პლასტიკური ოპერაციები) შეუფერებელია ამ ასაკის ბავშვების განვითარების დონისათვის და მათ მიერ შეიძლება არასწორად იქნეს ინტერპრეტირებული. ბუნებრივია, ნებისმიერი თემის განხილვა შეიძლება, თუმცა ეს სათანადო ფორმითა და ტაქტით და შესაფერის საეთერო დროს უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში განსახილველი თემების სპექტრი უნდა შეიზღუდოს. იგივე შეიძლება ითქვას ზემოაღნიშნული სერიალების ტრანსლირების დროსთან დაკავშირებით. „ზებუნებრივი“ და „ლას ვეგასი“ არც შინაარსით, არც ჟანრით და არც გარკვეული სცენებით არ მიეკუთვნება იმ კატეგორიებს, რომლებიც ბავშვებისათვის შესაფერისად ჩაითვლებოდა. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ამ სერიალებს შესაბამისი კატეგორიები მიენიჭოს.

მონიტორინგის სამსახურმა საკუთარი მოსაზრება არხის ხელმძღვანელობას გააცნო. ვინაიდან არსებული საეთერო ბადე ჯერ-ჯერობით არ იძლევა საჩივარში დასახელებული გადაცემების („მოკლე ჩართვა“, „ზებუნებრივი“ და „ლას ვეგასი“) ტრანსლირების დროის შეცვლის საშუალებას, მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: იმ შემთხვევაში, თუ „მოკლე ჩართვაში“ განსახილველი თემა შეუფერებელი იქნა მცირეწლოვანთათვის, გადაცემის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას ყოველი სარეკლამო ჭრის დასრულებისთანავე გაკეთდეს გამაფრთხილებელი განცხადება (ვიზუალურიც და ხმოვანიც), რომ გადაცემა არ არის რეკომენდებული მცირეწლოვანთათვის; სერიალებს მიენიჭოს შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიები. მომავალში, ახალი საეთერო ბადის შედგენისას, გათვალისწინებული იქნეს გამოთქმული შენიშვნები.

2009 წლის 1-ლ კვარტალში მონიტორინგის სამსახური აკვირდებოდა საინფორმაციო გამოშვებებს და ინიშნავდა აღმოჩენილ დარღვევებს. ეს დარღვევები განიხილებოდა საინფორმაციო სამსახურთან, ჟურნალისტებსა და პროდიუსერებთან.

„მოამბეში“ სხვადასხვა ტიპის შეცდომა (გრამატიკულით დაწყებული ფაქტობრივით დამთავრებული) და დარღვევაა, არის ტექნიკური ხარვეზებიც. მაგალითად, ხშირად გრაფიკა და საკადრო ტექსტი ანდა ჟურნალისტის ტექსტი და კადრები არ ემთხვევა ერთმანეთს (რაც მაყურებელს აბნევს), ხშირად შეცდომებია ტიტრებში. დარღვევებისა და შეცდომების ტიპებზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად რამდენიმე მაგალითს მოვიტან: ლევან წულაძე დგამს შექსპირის კომედიას „ფიგაროს ქორწინება“ (ეს ბომარშეს პიესაა); დიკ ჩეინმა თქვა (დიკ ჩეინი); დასჯადი არ არის (არ ისჯება); რუსეთის ელჩი ეუთო-ში ვიტალი ჩურკინი (ჩურკინი რუსეთის ელჩია გაერო-ში); ერთ სიუჟეტში, რომელიც ფინანსურ კრიზისზე ლონდონის სამიტს ეხებოდა, რამდენიმე შეცდომა იყო: წამყვანმა თქვა, რომ 500 მილიონი გამოეყო სავალუტო ფონდს

(სინამდვილეში 500 მილიარდი), ტიტრებში ეწერა „ალიოსტემ დარლინგი, დიდი ბრიტანეთის ხაზინის ხელმძღვანელი“ (ალიოსტემ დარლინგი – ფინანსთა მინისტრი) და „პიტერ მედელსონი, დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი“ (პიტერ მედელსონი – ვაჭრობის მინისტრი); ერთ-ერთ სიუჟეტში დადგმული სცენა არ განირჩეოდა (მაგ. შავ-თეთრი კადრებით) რეალობის ამსახველი კადრებიდან, რასაც მაყურებელი შეცდომაში შეყავს; არასრულწლოვანთა დამნაშავეობის შესახებ ზოგად სიუჟეტში საილუსტრაციოდ გამოყენებულ ციხის კადრებში არასრულწლოვანი პატიმრების იდენტიფიცირება იყო შესაძლებელი (ამ კატეგორიის არასრულწლოვანთა იდენტიფიცირება საერთოდ არ უნდა ხდებოდეს, მით უმეტეს საილუსტრაციოდ გამოყენებულ კადრებში); ერთმანეთისგან ვერ არჩევენ „მაცხოვრებელს“ (ვინც აცხოვრებს) და „მცხოვრებს“ (ვინც ცხოვრობს) და ა.შ.

მონიტორინგის სამსახური ყოველდღიურად აკეთებდა 16:00 და 20:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვებების მოკლე ანგარიშს, რაც საშუალებას იძლეოდა, შეფასებულყო, თუ რამდენად სრულად შექდებოდა მიმდინარე მოვლენები დღის განმავლობაში. მონიტორინგის სამსახური ასევე აკეთებდა სამი ტელევიზიის (1-ლი არხი, იმედი, რუსთავი-2) პრაიმტაიმის საინფორმაციო გამოშვებების შედარებით ანალიზს. ეს ანალიზი შესაძლებლობას იძლეოდა, დაგვედგინა ხომ არ რჩებოდა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან საკითხი „მოამბის“ ყურადღების მიღმა, ანუ, შემოწმებულიყო საინფორმაციო სამსახურის ოპერატიულობა და ინფორმირებულობა. სამი ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებების შედარებამ აჩვენა, რომ „მოამბე“, პრინციპში, ყველა მნიშვნელოვან მიმდინარე მოვლენას აშუქებდა. გარდა ამისა, სხვა ტელევიზიებთან შედარებით, „მოამბე“ უფრო საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე იყო ორიენტირებული (მაგ. საზოგადოების ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, სოციალურ პრობლემებზე), რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის უპირველესი ფუნქციაა. აღნიშნული შედარების შედეგები ყოველი კვირის ბოლოს ეგზავნებოდა არხის ხელმძღვანელს.

ადმინისტრაციული სამსახური

იანვარი

საქმისწარმოების ადმინისტრირების განყოფილებაში 2009 წლის იანვრის თვეში:

1. რეგისტრირებულია 362 წერილი, აქედან:

- 159 მოხსენებითი ბარათი;
- 131 გასული წერილი, აქედან:
 - ლ. ყუბანიეშვილისგან – 91;
 - დ. ჯანელიძისგან – 36;
 - დ. ბერძენიშვილისგან – 3;
 - ლ. გახელაძისგან - 1;
- 72 შემოსული წერილი, აქედან:
 - სხვადასხვა ორგანიზაციიდან – 64
 - მოქალაქის – 8;

2. მომზადდა 23 ბრძანება, აქედან:

- 17 – მივლინების ბრძანება;
- 6 - საერთო ხასიათის ბრძანება;

3. შემოვიდა 5 ზეპირი განაცხადი, აქედან:
- 3 შრომის წიგნაკი (ყოფილ თანამშრომლებზე);
 - 2 პირადი საქმე (ადამიანური რესურსების სამსახურისთვის).
4. დაშვებული იქნა 915 სტუმრის საშვი.

თებერვალი

საქმისწარმოების ადმინისტრირების განყოფილებაში 2009 წლის თებერვლის თვეში:

1. რეგისტრირებულია 376 წერილი, აქედან:

- 157 მოხსენებითი ბარათი;
- 125 გასული წერილი, აქედან:
 - ლ. ყუბანიეშვილისგან – 60;
 - დ. ჯანელიძისგან – 47;
 - დ. ბერძენიშვილისგან – 10;
 - გ. ჭანტურიასგან - 8;
- 94 შემოსული წერილი, აქედან:
 - სხვადასხვა ორგანიზაციიდან – 77
 - მოქალაქის – 17;

2. მომზადდა 24 ბრძანება, აქედან:

- 16 – მივლინების ბრძანება;
- 8 - საერთო ხასიათის ბრძანება;

3. შემოვიდა 9 ზეპირი განაცხადი, აქედან:

- 4 შრომის წიგნაკი (ყოფილ თანამშრომლებზე);
- 2 საარქივო ცნობა (ყოფილ თანამშრომლებზე);
- 2 პირადი საქმე (ადამიანური რესურსების სამსახურისთვის);
- 1 პირადი საქმე (იურიდიული სამსახურისთვის);
- 1 საპენსიო ცნობა (ყოფილ თანამშრომელზე);

4. დაშვებული იქნა 1208 სტუმრის საშვი.

მარტი

საქმისწარმოების ადმინისტრირების განყოფილებაში 2009 წლის მარტის თვეში:

1. რეგისტრირებულია 384 წერილი, აქედან:

- 123 მოხსენებითი ბარათი;
- 122 გასული წერილი, აქედან:
 - ლ. ყუბანიეშვილისგან – 53;
 - დ. ჯანელიძისგან – 52;
 - დ. ბერძენიშვილისგან – 3;
 - გ. ჭანტურიასგან - 4;
 - ი. გრიგოლიასგან – 1;
 - გ. ბარათაშვილისგან – 6;

- ლ. გახელაძისგან – 3.
- 139 შემოსული წერილი, აქედან:
სხვადასხვა ორგანიზაციიდან – 118;
მოქალაქის – 21;
2. მომზადდა 38 ბრძანება, აქედან:
- 30 – მივლინების ბრძანება;
 - 8 - საერთო ხასიათის ბრძანება;
3. შემოვიდა 7 ზეპირი განაცხადი, აქედან:
- 4 შრომის წიგნაკი (ყოფილ თანამშრომლებზე);
 - 2 საარქივო ცნობა (ყოფილ თანამშრომლებზე);
 - 1 საპენსიო ცნობა (ყოფილ თანამშრომელზე);
4. დაშვებული იქნა 1276 სტუმრის საშვი.

2009 წლის I კვარტალში საქმისწარმოების ადმინისტრირების განყოფილებაში რეგისტრირებულია 1122 წერილი, მომზადდა 63 მივლინების და 22 საერთო ხასიათის ბრძანება, გაიცა 5 პირადი საქმე ადამიანური რესურსების სამსახურისთვის, 11 შრომის წიგნაკი, 4 საარქივო და 1 საპენსიო ცნობა ყოფილ თანამშრომლებზე, მაუწყებლის შენობაში დაშვებულია 3399 სტუმარი.

სამეურნეო სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაოები:

2009 წლის I კვარტალში სამეურნეო სამსახურის მიერ ჩატარებული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

იანვარი – ახალ news room-ში საკუთარი ძალებით დამონტაჟდა განათების შტანგები.
მარტი – ადმინისტრაციული შენობის შემოსასვლელში მოეწყო საშვთა ბიურო, მეტალოპლასტიკის ტიხრები და გარემონტდა მიმდებარე ტერიტორია – შემსრულებელი ფირმა შპს “გუგა2000”. საკონტროლო გამშვები პოსტი შენობის ფოიედან გადმოტანილ იქნა ადმინისტრაციული შენობის ცენტრალურ შემოსასვლელთან.

ჩატარდა შენობა-ნაგებობის გარე ფასადის მოსაწესრიგებელი კოსმეტიკური სამუშაოები.

გაქირავებული და გასაქირავებელი ფართები

III კორპუსის საერთო ფართი შეადგენს 5600 კვმ. აქედან გაქირავებულია 4084 კვმ ფართობი. მათ შორის:
საოფისე – 1589,5 კვმ.
სასტუდიე – 700 კვმ.
დამხმარე – 631,6 კვმ.

გასაქირავებელია II სართულზე 216 კვმ. გარემონტებული საოფისე ფართი. 203 კვმ. დროებით უკავია “ფორმულა კრეატივს”. აგრეთვე ამ კორპუსში განლაგებულია

სამეურნეო სამსახური, რომელსაც უკავია საოფისე ფართი 116კვმ. და დამხმარე – 48კვმ.

II კორპუსის საერთო ფართი შეადგენს 5100 კვმ.

აქედან გაქირავებულია 2494 კვმ. მათ შორის:

საოფისე – 1388,4 კვმ.

სასტუდიე – 213.0 კვმ.

დამხმარე – 892.6 კვმ.

“ფორმულა კრეატივს” უკავია პავილიონი 400 კვმ. დანარჩენი ფართი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

დამქირავებლების ჩამონათვალი

1. “რუსთავი 2” – საერთო ფართი 2503 კვმ. (იხ. დანართი №1 და 18)
აქედან – საოფისე – 1517,5 კვმ.
სასტუდიე – 700 კვმ.
დამხმარე – 285,6 კვმ.
2. შპს “დეიზი” – დამხმარე ფართი – 18კვმ. (დანართი №1)
3. ინდ.მეწარმე ჭეკელიძე – დამხმარე ფართი – 28კვმ. (დანართი №1)
4. “სტუდია დღე” – სულ ფართი – 257.0 კვმ. (დანართი №2)
საოფისე – 149კვმ.
დამხმარე – 108კვმ.
5. “თიბისი TV “ – სულ საოფისე ფართი – 312.0 კვმ. (დანართი №3)
6. რადიო “უცნობი” – სულ ფართი – 556 კვმ. (დანართი №4)
საოფისე – 364 კვმ.
დამხმარე – 192 კვმ.
7. პრაიმ-ტაიმი – სულ საოფისე ფართი – 132.0 კვმ. (დანართი №5)
8. ბეგი კომპანი – სულ საოფისე ფართი – 283 კვმ. (დანართი №5)
9. კაბადონი – სულ ფართი – 165 კვმ. (დანართი №6)
საოფისე – 187 კვმ. (დანართი №12)
დამხმარე – 180 კვმ.
სასტუდიე – 98 კვმ.
10. “სანგუკო” – სულ ფართი – 558 კვმ. (დანართი №6)
საოფისე – 231 კვმ.
სასტუდიე – 115 კვმ.
დამხმარე – 212 კვმ.
11. ტბს “TV” – სულ ფართი – 808 კვმ. (დანართი №7)
საოფისე – 457 კვმ.
დამხმარე – 351 კვმ.
12. “მარი” – სულ ფართი – 151 კვმ. (დანართი №8)
საოფისე – 141,0 კვმ.
(სახურავი) დამხმარე – 10,0 კვმ.
13. “პრაიმტაიმი” – სულ ფართი 296.4 კვმ. (დანართი №9)
საოფისე – 228.4 კვმ.
დამხმარე – 68.0 კვმ.
14. ლოტო – სულ საოფისე ფართი – 45.9 კვმ. (დანართი №10)
15. “7 არხი” – სულ ფართი – 144.6 კვმ. (დანართი №10)
საოფისე – 73.1 კვმ.
(სახურავი) დამხმარე – 71.5 კვმ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კოსტავას №68-ში მდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა-ნაგებობების ფართობი:

1. I კორპუსი 4 სართული + ცოკოლი
შენობის ფართობი – 5221 კვმ. (I სტუდია 600 კვმ.)
საერთო ფართობი – 12132 კვმ. (C სტუდია 300 კვმ.)
ოთახების რაოდენობა – 379
2. II კორპუსის 4 სართული + ცოკოლი
შენობის ფართობი – 1907 კვმ.
საერთო ფართობი – 5097 კვმ.
ოთახების რაოდენობა – 172
3. III კორპუსი 4 სართული + ცოკოლი
გაშენების ფართობი – 1878 კვმ.
საერთო ფართობი – 5680 კვმ. (II სტუდია 700 კვმ.)
ოთახების რაოდენობა 182
4. “პტს” საწყობი, სასადილო 2 სართული
გაშენების ფართობი – 1440 კვმ.
საერთო ფართობი – 2001 კვმ.
ოთახების რაოდენობა – 30
5. ფირსაცავი 1 სართული
გაშენების ფართობი – 389 კვმ.
საერთო ფართობი 322 კვმ.
ოთახების რაოდენობა – 15
6. სადურგლო მექანიკური საამქრო
გაშენების ფართობი – 624 კვმ.
საერთო ფართობი – 740 კვმ.
ოთახების რაოდენობა – 9
7. მიწისქვეშა ავტოფარეხი, სატრანსფორმატორო დავენტკამერი
გაშენების ფართობი – 3279 კვმ.
საერთო ფართობი – 3107 კვმ.
ოთახების რაოდენობა – 2
8. ძველი საწყობი – 400 კვმ.

ხელშეკრულება გაუგრძელდა ი.მ. „ნოდარ ციციშვილს“
ასევე ხელმოსაწერად მზადდება კონტრაქტი შპს „ნ.მ.ლ“-სთან

სამეურნეო სამსახურის კომენდანტი

2009 წლის პირველ კვარტალში სამეურნეო სამსახურის კომენდანტმა
გაცა შემდეგი რაოდენობისა და სახის მატერიალური ფასეულებები

იანვარი

	დასახელება	რაოდ- ბა	გასცა	დარჩა
1	საკანცელარიო საქონელი	321	314	7
2	საყოფაცხოვრებო ინვენტარი	10	10	0
3	სამეურნეო საქონელი	29	26	3
4	ჭურჭელი	200	200	0
5	საკვები პროდუქტები	0	0	0
6	სხვა	0	0	0

თებერვალი

	დასახელება	რაოდ- ბა	გასცა	დარჩა
1	საკანცელარიო საქონელი	2678	2678	0
2	საყოფაცხოვრებო ინვენტარი	20	16	4
3	სამეურნეო საქონელი	74	74	0
4	ჭურჭელი	56	56	0
5	საკვები პროდუქტები	638.4	638.4	0
6	სხვა	0	0	0

მარტი

	დასახელება	რაოდ- ბა	გასცა	დარჩა
1	საკანცელარიო საქონელი	1270	70	1200
2	საყოფაცხოვრებო ინვენტარი	15	15	0
3	სამეურნეო საქონელი	205.25	205.25	0
4	ჭურჭელი	355	355	0
5	საკვები პროდუქტები	286	286	0
6	სხვა	88	88	0

კავშირგაბმულობაში ჩატარებული სამუშაოს მოცულობა

ჩატარებული სამუშაო	იანვარი	თებერვალი	მარტი	1 კვარტალი
გაიცა კორპორატიული ნომრები	19	2	13	34

ორგანიზაციის ბალანსზე ავიდა თანამშრომელთა ნომრები	2	3	6	11
ინტერაქტივისთვის გაიშვა ნომრები	8			8
"პრეზიდენტი გისმენთ" გადაცემისთვის დაიდგა 1 სტუდიაში ტელეფონები	6			6
სატელეფონო ნომრების გადატანა ოთახიდან ოთახში	10	11		21
შეიცვალა ტელეფონის აპარატები	8	7	5	20
დაზიანებული ხაზების აღდგენა	28	23	18	69
დაზიანებული ტელეფონის აპარატების შეკეთება	11	13	4	28
მინი ატს-ის ნომრები გაიშვა	3	2	2	7
ლიმიტების ცვლილება კორპორატიულ ნომრებზე	4	8	6	18
ლიმიტების ცვლილება ქალაქის ნომრებზე	2	6	5	13
კორპორატიული ნომრების აღდგენა	1	2	7	10
გაიცა როუმინგი	8	4	9	21
დაიდგა ქალაქის ნომერი	4	5	1	10
კორპორატიული ნომრების დაპაუზება	15			15
კორპორატიული ნომრების ბალანსიდან მოხსნა		6	2	8

სამეურნეო სამსახურის ავტოსატრანსპორტო ჯგუფი

ანგარიშში მოცემულია სამეურნეო სამსახურის ავტოსატრანსპორტო ჯგუფის მიერ გაწეული საწვავის ხარჯვის 2009 წლის I კვარტალის ანგარიში და მიმდინარე წლის ამავე პერიოდში აღნიშნულ სამსახურში განხორციელებული ცვლილებები.

2009 წლის I იანვრისათვის ავტოსატრანსპორტო ჯგუფის ავტოფარეხში არსებული ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 119 ერთეულს. არის ჩამოსაწერი და დაკარგული ავტომანქანები.

იანვრის თვეში საზოგადოებრივ მაუწყებელს ემსახურებოდა 33 ერთეული ა/მანქანა.

აქედან: 19 ნივა, 4 რენო, 1 ვოლვო, 4 სპეც.დანიშნულების, 2 შკოდა, 1გაზ 2106, 1გაზ 2107 და 1გაზ-24.
გახარჯული საწვავის რაოდენობამ შეადგინა :

იანვარი			
რეგ.	პრემ.	სუპერი	დიზ.
5885	500	1200	520

თებერვლის თვეში მომსახურე ა/მანქანების რაოდენობამ შეადგინა 29 ერთეული.
აქედან: 16 ცალი ნივა, 4 ცალი რენო, 1 ცალი ვოლვო, 1 ცალი ჰიუნდაი, 1 ცალი შკოდა, 4 ცალი სპეც.დანიშნულების, 1 ცალი გაზ 21-07 და 1 ცალი სატვირთო გაზ-53.
გახარჯული საწვავის რაოდენობამ შეადგინა :

თებერვალი					
რეგ.	პრემ.	სუპერი	დიზ.	ზეთი	ანტიფრიზ.
5055	650	1200	620	77.5	173

მარტის თვეში მომსახურე ა/მანქანების რაოდენობამ შეადგინა 22 ერთეული.
აქედან: 11 ცალი ნივა, 4 ცალი რენო, 1 ცალი ვოლვო, 1 ცალი ჰიუნდაი, 1 ცალი შკოდა, 4 ცალი სპეც.დანიშნულების და 1 ცალი სატვირთო გაზ-53.
გახარჯული საწვავის რაოდენობამ შეადგინა :

მარტი			
რეგ.	პრემ.	სუპერი	დიზ.
6465	1890	1100	990

2009 წლის I კვარტალში ავტოსატრანსპორტო ჯგუფმა გახარჯა საწვავის შემდეგი რაოდენობა.

რეგულარი: **17405ლ.**
პრემიუმი: **2040ლ.**
სუპერი: **3500ლ.**
დიზელი: **2130ლ.**
ზეთი: **77.5ლ.**

2009 წლის 1 თებერვლიდან ავტოსატრანსპორტო ჯგუფში განხორციელდა საკადრო ცვლილებები, რის შედეგადაც დათხოვნილ იქნა 16 მძღოლი დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული ცვლილებები განაპირობა 2008 წელს შპს "იბერია ავტო მარკეტთან" გაფორმებულმა ხელშეკრულებამ, რომელის მიხედვითაც აღნიშნული კომპანია საზოგადოებრივ მაუწყებელს უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო მომსახურეობით 24 საათის განმავლობაში.

იანვარი – დაფიქსირებული იყო შენობაში სხვისი საშვით შემოსვლა.
გაკეთდა რეკომენდაცია ავტოფარეხის მუშაობის შესახებ.

თებერვალი – დაფიქსირებული იყო ნასვამ მდგომარეობაში მყოფი თანამშრომლები.
გაკეთდა რეკომენდაცია ვიდუოთეკის მუშაობის შესახებ, გაკეთდა რეკომენდაცია
შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ.

მარტი - გაკეთდა რეკომენდაციები: სათადარიგო გზების გაწმენდის შესახებ, საშვთა
ბიუროს გადატანის შესახებ, ვიდუოკამერების გადატანის შესახებ, დაცვის
გაძლიერების შესახებ